საკრებულო ქალაქის ბიუჯეტს ბუდაურში განიხილავს A2

ესპანეთში „ალ ქაიდას" წევრები დააპატიმრეს A3

რას ისწავლიან სომხურენოვანი საჯარო მოხელეები სამცხე-ჯავახეთში A4



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 26 იანვარი, 2003 წელი. №24 (236)

ფასი 50 თეთრი


# ბუნტი ორთაჭალის ციხეში

ინგა ალავიძე
ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინ, დილით, ორთაჭალის ციხეში იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სპეცჯგუფმა სპეცლონისძიება ჩაატარა. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, სპეცლონისძიების მიზანი ციხის "გასუფთავება" იყო.*

ოპერაცია დილის 8 საათზე დაიწყო, 2 საათს მშვიდად გაგრძელდა და მას შემდეგ, რაც სპეცჯგუფის წევრებმა 49-ე საკანს შეუტიეს, საკანს, რომელიც კანონიერი ქურდების სამფლობელოა, ციხეში ბუნტი ატყდა - ორთაჭალის ციხის 1600 პატიმარი ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ფართომასშტაბიან ჩხრეკას პროტესტით შეხვდა.

ჩხრეკის შემდეგ, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტში ციხიდან ამოღებული შეიარაღების ჩვენება შედგა.

მობილური ტელეფონების მრავალსახეობა, ხელოვნურად დამზადებული "ჩილიმი", "აკს"-ის სისტემის 3 ავტომატი, 60 ტყვიით, "ფ-1"-ის ტიპის ხელყუმბარები, "შტირები", დანები, ნარკოტიკული ნივთიერებები – ოპიუმი, ჰეროინი, მარიხუანა, ასევე თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, სხვადასხვანაირი მჭრელი საგნები, ჩაქუჩები, ნაჯახები, ჩანგლები...

ორთაჭალის ციხის საკნებიდან ამოღებული შეიარაღების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, პაატა მხეიძის კაბინეტში წარმოდგენილ არსენალს მხოლოდ მძიმე ტექნიკა არ ამშვენებდა.

ორთაჭალის ციხის მე-3 კორპუსს, სადაც განაჩენმისჯილი პატიმრები იმყოფებიან და მე-4 კორპუსს, რომელიც რეციდივისტ ტუსაღთა სამყოფელოა, სულ ციხის 18 საკანს, ხანძარი გაუჩნდა. პატიმრებმა, პროტესტის ნიშნად, ციხის გადაბუგვა ზეწრების დაწვით დაიწყეს. ცეცხლი სახანძრო რაზმმა ჩააქრო.

გაგრძელება A2 გვერდზე



*გენერალური პროკურორი იმათ დასჯასაც აპირებს, ვისი მეშვეობითაც მოხვდა ეს არსენალი ციხეში*

## უშიშროების საბჭოს სხდომა დღეს აფხაზეთს მიეძღვნება

თამარ ხორბალაძე

დღეს საქართველოს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხზე საქართველოს ხელისუფლების ერთიანი პოზიციის შემუშავებას გეგმავს. წინასწარი კონსულტაციები ამ თემაზე უკვე დასრულებულია.

დღეს უშიშროების საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, გაუგრძელებს თუ არა საქართველო რუსულ სამშვიდობო ძალებს მანდატს, დაეთანხმება თუ არა ტრანსპორტის მინისტრის ინიციატივას, რუსული ბაზების შესაძლო "კომუნიკაციურ ბლოკადასთან" დაკავშირებით. ამასთან, უშიშროების საბჭომ უნდა შეიმუშავოს მიმართვა გაეროს უშიშროების საბჭოსადმი, რომელიც აფხაზეთის საკითხს 31 იანვრის სხდომაზე განიხილავს. შესაძლოა, სხდომაზე დსთ-დან გამოსვლის მიზანშეწონილობის საკითხზეც იმსჯელონ.

უშიშროების საბჭოს ეს სხდომა ორჯერ გადაიდო, თუმცა მისი დღეს გამართვა მნიშვნელოვანი იმიტომაც გახლავთ, რომ უკვე სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტი დსთ-ს ქვეყნების ლიდერთა "უჰალსტუხო" შეხვედრაზე მიემგზავრება, სადაც, შესაძლოა (ყოველ შემთხვევაში, რუსული მხარე ამ საკითხს გადაწყვეტილად არ აცხადებს), საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაც შედგეს.

უშიშროების საბჭოს სხდომა დღეს კანცელარიის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის ფონზე ჩატარდება. აქციის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება "მეომართა კავშირმა", "დევნილთა კავშირმა" და მოძრაობამ "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" ორდღიანი კონსულტაციების შემდეგ მიიღეს. ამას წინ უძღოდა 22 იანვარს პარლამენტის შენობის წინ გამართული დევნილთა აქცია, რომელზეც რამდენიმე ინციდენტი მოხდა.

## ჩეხეთი კვლავ პრეზიდენტის გარეშე დარჩა

ლევან ღირსიაშვილი

ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტმა კვლავ ვერ შეძლო პრეზიდენტის არჩევა და ამჯერად მთელი პროცედურა თავიდან უნდა ჩატარდეს. არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, კონსერვატორი ვაცლავ კლაუსი და დამოუკიდებელი კანდიდატი, 73 წლის იაროსლავა მოშეროვა. სააგენტო "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, კლაუსმა 127 პარლამენტარის ხმა მიიღო, ხოლო მოშეროვას მხარი 65 დეპუტატმა დაუჭირა. 89 პარლამენტარმა თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ არჩევნების პირველი ტური სენსაციურად დასრულდა. კერძოდ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მილოშ ზემანმა ბარიერის გადალახვა ვერ შესძლო, მიუხედავად იმისა, რომ მას ყველა დამკვირვებელი ფავორიტად თვლიდა. ზემანი ჩეხური პოლიტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვინ დაასწრებს აფხაზეთის "მობილიზაციას"?

გვანცა კვინიკაძე

*ორიოდე თვის წინ საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრომ რუსულ-აფხაზური კომპანიისგან ოფიციალური თხოვნა მიიღო აფხაზეთის ტერიტორიაზე GSM ქსელის მშენებლობის დაწყებისა და, შესაბამისად, 900-მეგაჰერციანი სიხშირის ლიცენზიის მიღების თაობაზე. ამ თხოვნას ქართულმა მხარემ უარით უპასუხა. თუმცა, თავად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ რუსულ სახელმწიფო და კერძო სექტორში სერიოზული დაინტერესებაა აფხაზეთის სატელეკომუნიკაციო სფეროთი. სულ ახლახან ხომ რუსეთის ერთ-ერთმა სახელმწიფო საკომუნიკაციო სტრუქტურამ ოფიციალურ წერილში ბიჭვინთა კრასნოდარის მხარის ქალაქად მოიხსენია.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## საზოგადოება

### BP-ის უსაფრთხოების ზომების დარღვევაში ადანაშაულებენ

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის უმსხვილეს მეწილეს, მსოფლიოში სიდიდით მეორე ნავთობგიგანტს "ბრიტიშ პეტროლიუმს" ერთობ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა და თავის მართლება უწევს.*

A8

## მძიმე წარსულის, რთული აწმყოსა და გაურკვეველი მომავლის ბავშვები

ირინე სანებლიძე

*საქართველოში ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა 10 სახლია. წყნეთის ბავშვთა სახლზე თბილისის მერია უნდა ზრუნავდეს, დანარჩენი ცხრა კი ცენტრალურ ბიუჯეტზეა დამოკიდებული. თითოეულ მათგანს ჰყავს საშეფო ორგანიზაცია, რომელიც ბავშვთა სახლებს ფინანსურად ეხმარება. საქართველოს განათლების სამინისტროს შუამდგომლობით, თითქმის ყველა მათგანს UNICEF-ი, მსოფლიოს და ევროკავშირის სასურსათო პროგრამები მფარველობს. ეს ჩამონათვალი 900-მდე ბავშვის ცხოვრების ნორმალურ პირობებს უნდა უზრუნველყოფდეს, მაგრამ ეს პატარები ამ წელსაც ძველი პრობლემებითა და სადარდებლით შეხვდნენ.*

*მარტყოფის ბავშვთა სახლში დღესასწაულები წლეულს მოჩვენებითი ხალისიანობით აღინიშნა. ეს ის სახლია, რომელშიც, გასული წლის ბოლოს, ცამეტი წლის გოგომ ათი წლის ბიჭი მოკლა...*

გაგრძელება A4 გვერდზე



*მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები*

## "უკან აღარ დავიხევთ"

### კრწანისი - ახლა უკვე BP-სთან ბრძოლის ველი

სოფიკო ოხანაშვილი

***"ბომბზე სვამენ მთელ სოფელს... ცხელ სამიზნედ იქცევა კრწანისი... არ გვჭირდება მაგათი კომპენსაციები, წყნარად და მშვიდად ცხოვრება გვსურს. არ გვინდა, რომ ყოველდღე შიშით ვიძინებდეთ და შიშით ვიღვიძებდეთ",*** *- ასე აფასებენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტების განხორციელებას გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მცხოვრებლები. 2002 წლის ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოვლენად წოდებულ პროექტებს – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობისა და სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენებს – 120 კრწანისული ოჯახის სახით, მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. სოფლის მკვიდრები კატეგორიულ უარს აცხადებენ მათ სოფელში მილსადენების გაყვანაზე. კრწანისელები თავიანთ პოზიციას იმით ხსნიან, რომ, BP-ისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის წარმომადგენლების დაპირებებისა და გარანტიების მიუხედავად, ამ მილსადენების გაყვანით მათ უფრო მეტი საფრთხე ემუქრებათ.*

**"ან მარშრუტი შეუცვალონ ამ მილსადენებს, რისი იმედიც არ გვაქვს, ან ისეთ ადგილზე გადაგვასახლონ მთელი სოფელი, სადაც საფრთხე არ დაგვემუქრება არც ნავთობსადენისა და გაზსადენის დაზიანებით და არც სამხედრო პოლიგონებიდან",** - ასეთია გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის მოსახლეების მოთხოვნა. ისინი აღარ არჩევენ, მოექცა თუ არა მათი მიწები იმ 44-მეტრიან დერეფანში, სადაც მილებმა უნდა გაიაროს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | |
| ქუთაისი | 11 | |
| ბათუმი | 12 | |
| სოხუმი | 9 | |
| ფოთი | 11 | |
| თელავი | 7 | |
| ზუგდიდი | 11 | |
| გორი | 5 | |
| ახმეტა | 6 | |
| ჭიათურა | 8 | |
| გაგრა | 8 | |
| სამტრედია | 11 | |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3580 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5661 |
| რუბლი | 0.0687 |


A2 ინფორმაცია A3 ინფორმაცია A4 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 კვირის TV პროგრამა B8 სხვადასხვა

# ბუნტი ორთაჭალის ციხეში

პირველი გვერდიდან

ტუსაღთა რამდენიმეწუთიანმა არეულობამ შედეგი გამოიღო - ადმინისტრაციამ და სპეცჯგუფმა ჩხრეკა შეაჩერეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსმა სიფრთხილე ამჯობინა: **"რისკის უფლება არ გვქონდა, უსაფრთხოება გარანტირებული არ იყო,"** – განაცხადა პაატა მხეიძემ.



ამოღებული არსენალის ნაწილი.



ორთაჭალის ციხესთან უცებ მოგროვდნენ პატიმართა ახლობელ-ნათესავები.

## რატომ გაიჩხრიკა ციხე, რას ამბობენ სამართალდამცველები

რატომ გაიჩხრიკა ციხე? - ამ კითხვაზე გუშინ სამართალდამცველები ძალზე საქმიან პასუხებს იძლეოდნენ.

**"ვფლობდით ინფორმაციას, რომ ტუსაღები შეიარაღებულნი იყვნენ; რომ ქურდული სამყარო ციხიდან მართავს კრიმინალურ სიტუაციას. დაახლოებით ვიცოდით, რომელ საკანში რა შეიარაღება იყო. ამას ისიც დაემატა, რომ სულ ცოტა ხნის წინაც ჩატარდა მსგავსი ხასიათის ჩხრეკა და მაშინ პატიმრებმა დაჭრეს ჩვენი თანამშრომელი. ახლა ეს ღონისძიება მოულოდნელად ჩავატარეთ. ციხის ორი მესამედი უპრობლემოდ შევამოწმეთ, მაგრამ ატყდა ბუნტი... დღევანდელმა დღემ დაგვანახა ამ სისტემის ნაკლოვანებები, გააშიშვლა ყველაფერი... ქურდული სამყარო იქამდეც მივიდა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ღიად დაუპირისპირდა. ღია ტექსტებით სასიკვდილო მუქარებსაც კი გვითვლიდნენ. მაგრამ ასეთი ღონისძიებები არ შეწყდება, აუცილებლად გავაგრძელებთ და კრიმინალურ სამყაროს არსებულ კანონიერ რეჟიმში მოვაქცევთ. არ შეიძლება, მისჯილმა დამნაშავემ ქვეყანაში კრიმინალური სამყარო ციხიდან მართოს,"** – აცხადებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე პაატა მხეიძე.

**"რასაც ხედავთ, ეს საშინელებაა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა ჩაატარა შემოწმება და ამხელა შეიარაღება ამოიღო. ახლა ჯერი ჩვენზეა, უნდა გამოვიძიოთ ეს საქმე. არ შეიძლება, ციხეში ამდენი იარაღი ინახებოდეს. გარდა იმისა, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრებათ პატიმრებს, დამნაშავეები ციხის თანამშრომლებიც არიან, რომელთა გარეშეც ეს იარაღი ციხეში ვერ მოხვდებოდა. სავარაუდოა, რომ საპყრობილეში, რომლის შემოწმებაც ბოლომდე ვერ მოხერხდა, უფრო მეტი საიდუმლოება იმალება,"** – ასეთია გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის შეფასება.

**"ეს არის სერიოზული საქმე, ასეთი შეიარაღება ციხეში არ უნდა ხვდებოდეს. ნორმალურ სახელმწიფოში მსგავს შემთხვევაში გადაუდებელ ღონისძიებებს მიმართავენ, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. საპატიმრო - საპატიმროა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და შსს-მ ერთობლივი ღონისძიება ჩაატარეს და ეს გაგრძელდება. კრიმინალური სამყაროს ლიდერთა მოქმედებებს ბოლო უნდა მოეღოს, თუ გვინდა ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება,"** – განაცხადა ციხეში მოგვიანებით მისულმა შს მინისტრმა.

## "შმონის" შედეგები

ციხეში გუშინ მომხდარი შეტაკების შედეგები მკაცრად გასაიდუმლოებულია. ოფიციალური ინფორმაციით, დაშავდა 3 სპეცრაზმელი და რამდენიმე პატიმარი. სპეცრაზმელებმა ნაჭდევი ჭრილობები – ბასრი საგნებით მიყენებული დაზიანებები მიიღეს. **"პატიმრები კი მხოლოდ მსუბუქად დაშავდნენ,"** - განაცხადეს მომხდარი ინციდენტის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ჩატარებული სახელდახელო პრესკონფერენციის მონაწილეებმა. ციხის მესვეურები და იუსტიციის სამინისტრო საპატიმროში გუშინ არავის უშვებდა. სატუსაღო ჩაიკეტა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც. ერთადერთი, ვინც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში შესვლა მოახერხა, ომბუდსმენის წარმომადგენელი გახლდათ.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ორთაჭალის ციხეში ტრავმირებული 26 პატიმარი გადაიყვანეს. ტუსაღთა დიდი უმრავლესობა სერიოზულადაა დაზიანებული. ჩვენი მონაცემებით, დრამის მთავარი გმირი - კანონიერი ქურდი, ასკანელი დათო ქურასბედიანია, რომელიც "წრიპას" მეტსახელითაა ცნობილი. იგი ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია და №1 რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. გუშინდელი მონაცემებით, ციხის საავადმყოფოს რეანიმაციაში 5 ტუსაღი დააწვინეს და დაახლოებით 10 პატიმრის გადაყვანასაც აპირებდნენ.

არსებული მონაცემებით, პატიმართა დასაშოშმინებლად გამოიყენეს სპეციალური გაზი, თუმცა საპყრობილის ხელმძღვანელობა ამ ფაქტს არ ადასტურებს.

## ციხის ბუნტის ვერსიები

გავრცელებული ინფორმაციებით, ციხეში გუშინ პატიმართათვის მოულოდნელად ჩატარებული შემოწმება შავი სამყაროს ავტორიტეტთა დამორჩილებას ისახავდა მიზნად. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ციხის ადმინისტრაციასა და ავტორიტეტულ ქურდებს შორის ბოლო პერიოდში სიტუაცია დაიძაბა. საუბარია იმაზე, რომ შავი სამყარო შიდა არაფორმალურ გადასახადს ადმინსტრაციას აღარ უხდიდა. ამის საბაბად, ბოლო პერიოდში სატუსაღოში დამყარებულ "ბესპრედელს" ასახელებენ. გავრცელებული ინფორმაციებით, იუსტიციის სამინისტროს სპეცჯგუფი ციხეში გამიზნულად შევიდა, მიადგა იმ საკნებს, სადაც პატიმართა შორის შეგროვებული არაოფიციალური გადასახადი ინახებოდა. სად არის "ობშიაკი?" - ასეთი იყო მოთხოვნა.

მეორე ვერსიით, სამართალდამცველებმა ავტორიტეტული კრიმინალების წინააღმდეგ განახორციელეს შეტევა. ამის დასტურად, ორთაჭალის ციხიდან რამდენიმე დღის წინ ცნობილი კანონიერი ქურდის, ზვიად პაპიაშვილის ქსნის კოლონიაში გადაყვანასაც ასახელებენ. ამავე ინფორმაციით, პაპიაშვილისთვის საპატიმრო ადგილის შეცვლა მისი გავლენის შესუსტებას ისახავდა მიზნად.

ჩვენი მონაცემებით, ციხის ადმინისტრაციას წინააღმდეგობას უწევდნენ კანონიერი ქურდები.

არსებული ინფორმაციით, კანონდამცველებმა რევოლუცია დაიწყეს - შავი სამყაროს ლიდერთა რეპრესიები.

მოკლედ, გუშინ ციხეში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, პროკურატურაში საქმე აღიძრა – მასობრივი დაუმორჩილებლობისა და მასობრივი არეულობის მუხლით. სამართალდამცველთა პირობით, პასუხისგებაში მიეცემიან ციხის ის თანამშრომლები, ვისი დახმარებითაც შედის საპყრობილეში შეიარაღება და ნარკოტიკები.

# საკრებულო ქალაქის ბიუჯეტს გუდაურში განიხილავს

სოფო კვინტრაძე

თბილისის საკრებულომ 2003 წლის ქალაქის ბიუჯეტის განხილვა გუდაურში ამერიკელ კოლეგებთან ერთად მოაწყო. როგორც ჩვენთან საუბარში საკრებულოს წევრმა, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელმა რომან გოცირიძემ განაცხადა, ამ განხილვის ორგანიზატორები ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ. ბიუჯეტის განხილვის პირველი ნაწილი სემინარებისგან შედგებოდა, სადაც ამერიკელები ქართველ კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ, კერძოდ კი ნიუ-იორკის ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების პროცესს განუმარტავდნენ. მეორე ნაწილი კი უშუალოდ თბილისის ბიუჯეტის განხილვას მიეძღვნა, რომელშიც საკრებულოს კოლეგია და საკრებულოს წევრები მონაწილეობდნენ. რომან გოცირიძის განცხადებით, **"შეიძლება ითქვას, რომ საკრებულომ ბიუჯეტი პირველი მოსმენით განიხილა. ოთხშაბათს კი თბილისის მთვარობა უკვე ბიუჯეტის ვრცელ ვარიანტს შემოიტანს დასამტკიცებლად".**

თბილისის 2003 წლის ბიუჯეტის პარამეტრები 185 მილიონ ლარს შეადგენს, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში. ძირითად პრიორიტეტებად მიჩნეულია სოციალური სფერო, ჯანდაცვა, კეთილმოწყობა, განათლება და დედაქალაქის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხები. რომან გოცირიძის ინფორმაციით, უკვე დამტკიცებული ქალაქის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, აპრილიდან დაიწყებს მოქმედებას. 2003 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თბილისელებისთვის უფასო სასწრაფო დახმარების სამსახურის შექმნა, მაღალსართულიან სახლებში ლიფტებისა და სახურავების პრობლემების მოგვარება, პენსიებზე სამლარიანი დანამატების გაცემა, პირველკლასელ მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება, საქალაქო ტრანსპორტის გაუმჯობესების მიზნით 50 ავტობუსის შეძენა და სხვა საკითხები.

## მოკლედ

**ვენა.** ეუთო-ში აშშ-ს წარმომადგენელმა დუგლას დევიდსონმა რუსეთს მოუწოდა, რომ თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისაგან, რომელიც აფხაზეთში სეპარატიზმის განმტკიცებას ემსახურება და მოლაპარაკებათა პროცესის კიდევ უფრო გართულება შეუძლია, - იტყობინება საინფორმაციო სააგენტო მედიამაქსი.

ამერიკელი დიპლომატის თქმით, აშშ სრულფასოვნად აცნობიერებს საქართველოს მთავრობის შეშფოთებას, რომელიც რუსეთის ფედერაციის ცალმხრივი ნაბიჯებითაა გამოწვეული. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი ნუგზარ აშუბა რევანშისტულს უწოდებს საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელის ნინო ბურჯანაძის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ოფიციალური თბილისი აფხაზეთში ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზებით დაინტერესებული არ რის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვლადიმირ პუტინმა დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე მიულოცა ედუარდ შევარდნაძეს. მისალოც წერილში ნათქვამია: "რუსეთსა და საქართველოს აერთიანებს საერთო სულიერი და კულტურული ღირებულებები, მდიდარი ისტორია და ტრადიციები, და დღეს ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვუაროთ და განვამტკიცოთ მეგობრობა, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა დაბადების დღის 75 წლისთავთან დაკავშირებით მისალოცი წერილი გაუგზავნა თავის ქართველ კოლეგას ედუარდ შევარდნაძეს. "დღეს საერთაშორისო ურთიერთობები დამოუკიდებელ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის თვისობრივად ახალ ხასიათს იძენს. მნიშვნელოვანია თქვენი წვლილი ამ ურთიერთობების განმტკიცებაში. თქვენი როლი იმ ტრანსნაციონალურ პროექტებში, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმისა და "დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენაში." - ნათქვამია წერილში. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა საჩუქრად მიიღო ირანში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველებისაგან მათ მიერ მოქსოვილი ხალიჩა. საქართველოს პრეზიდენტმა ასევე მიიღო საჩუქრად ირანში გამოცემული ქართული ანბანი, 1001 ქართული გამონათქვამის კრებული, წიგნი, რომელიც ქართველების როლს ირანის ცივილიზაციის განვითარებაში ასახავს და ირანულად ნათარგმნი თავად პრეზიდენტის წიგნი "ჩემი არჩევანი". **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩრდილოეთ კავკასიაში ფედერალური ჯარების გაერთიანებული დაჯგუფების შტაბში უარყვეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ოდიოზური ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევი რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე მიიღო. უნეტარესმა და უწმინდესმა იუბილარს წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ორდენი გადასცა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**მოსკოვი.** შესაძლოა რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის პირისპირ შეხვედრა 29 იანვარს, კიევში დაგეგმილი დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა არაოფიციალური სამიტის მსვლელობისას შედგეს. ამის შესახებ შაბათს განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ სერგეი პრიხოდკომ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც აჭარის ავტონომიის მეთაურის პრესმდივანი თამაზ ბაკურაძე აცხადებს, ასლან აბაშიძე ბათუმური ბლოკიდან რიგი პოლიტიკური ფიგურების, მათ შორის გიორგი თარგამაძის, ვალერი გელბახიანის, აკაკი ასათიანისა და ვახტანგ რჩეულიშვილის გასვლის შესაძლებლობას "კატასტროფად" არ აღიქვამს. **პრაიმ-ნიუსი**

# „შევარდნაძემ ბოდიში უნდა მოუხადოს საკუთარ ხალხს და გადადგეს!"

"თავადაც დაისვენოს და ჩვენც დაგვასვენოს!" - ასე ულოცავენ ქვეყნის პრეზიდენტს იუბილეს

ვერიკო თევზაძე

**"ამბობენ, ახალგაზრდობაში, სამხედრო სამსახურიდან თავი რომ დაეძვრინა, დაბადების წელი გადაიკეთა, ასაკი შეიმცირაო..."** – "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერს ზვიად ძიძიგურს შევარდნაძის მარტოოდენ ასაკის სისწორეში როდი ეპარება ეჭვი, მისი აზრით, იუბილარს უკვე ქვეყნის მართვა აღარ შეუძლია.

**"ეროვნულ ძალთა გაერთიანება შეშფოთებას გამოთქვამს პრეზიდენტის ავადმყოფობის გამო და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს. დაე, 2003 წელი მისი პოლიტიკაში ყოფნის ბოლო წელიწადი ყოფილიყოს, ვინაიდან მან ვერ გაამართლა თავისი მოვალეობა. შევარდნაძემ ვერ უზრუნველყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მოსახლეობის სოციალური უფლებების დაცვა, ეკონომიკის აღდგენა, პირიქით, გააჩანაგა იგი. შევარდნაძემ საქართველო შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ აქცია ბიძაშვილ-მამიდაშვილების, ქვისლებისა და მძახლების ხელში. ყოველივე ამის გამო, მიგვაჩნია, რომ მან უნდა დატოვოს პოსტი. შევარდნაძეს, როგორც ქრისტიანს, ჯერ .კიდევ აქვს შანსი, რათა არ წარწყმდეს – მან ქართველი ერის წინაშე ბოდიში უნდა მოიხადოს და შემდეგ გადადგეს",** - ზვიად ძიძიგური ერთდროულად ზრუნავს როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე საკუთარი პრეზიდენტის სულის გადასარჩენად.



ზვიად ძიძიგური სანთლის შუქზე ულოცავს პრეზიდენტს იუბილეს.

**"რვა წლისა ვიყავი, ქვეყნის პირველი პირი რომ გახდა. ახლა 39 წლისა ვარ და ისევ ჩემი ქვეყნის მმართველია. გავიღვიძებ - შევარდნაძე, დავიძინებ - შევარდნაძე, ყველგან შევარდნაძეა... გავიდეს პენსიაში, თავადაც დაისვენოს და ჩვენც დაგვასვენოს."** ძიძიგური საქართველოს პრეზიდენტს ოჯახურ სიმყუდროვეში უსურვებს ტკბილ სიბერეს. მისი აზრით, ეს შევარდნაძისთვისაც სასარგებლო იქნება და კიდევ უფრო სასიკეთო – ქვეყნის განვითარებისთვის.

75 (პლუს-მინუს) წლის ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე პოლიტიკურ ორგანიზაციას - "ეროვნულ ძალთა გაერთიანება" - მხოლოდ ხუთი პარაფინის სანთელი ენთო, რათა ჩაბნელებული ოთახი გაენათებინა. **"ქვეყნის განათებამდე ჯერ შორია, ვინაიდან მას შევარდნაძე მართავს",** - ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევდა პრესკონფერენციას.

# ვინ დაასწრებს აფხაზეთის "მობილიზაციას"?

პირველი გვერდიდან

რუსულ-აფხაზური კომპანიის მომართვაში აღნიშნული იყო, რომ მან, აფხაზეთში სატელეკომუნიკაციო სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, GSM ქსელის აგება გადაწყვიტა და სათანადო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენასაც აპირებდა. ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრის მოადგილის გიორგი კაკუბერის განცხადებით, როგორც ჩანს, ამ კომპანიამ ე.წ. "Signal point code"-ის (საიდენტიფიკაციო კოდის) მიღების თხოვნით, თავდაპირველად ამ კოდების მარეგისტრირებელ საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართა. მაგრამ მათ, ეტყობა, საქართველოს შესაბამისი სტრუქტურებისკენ მიუთითებიათ. სამინისტრომ კი აღნიშნულ კომპანიას, რომლის აფხაზურ მხარესაც, ძირითადად, სომეხი ეროვნების აფხაზეთის მოქალაქეები წარმოადგენენ, გასაგები პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზების გამო, უარი უთხრა. **"გარდა ამისა, ეს ტექნიკური თვალსაზრისითაც წარმოუდგენელია, რადგან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 900 მეგაჰერცი სიხშირის მთელი დიაპაზონი "მაგთიკომსა" და "ჯეოსელზეა" გადანაწილებული",** - განაცხადა გიორგი კაკუბერმა.

იგი ადასტურებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ტელეკომუნიკაციები არასახარბიელო მდგომარეობაშია და იქ მართლაც არსებობს მობილური ქსელის აგების საჭიროება. საქართველოს ტელეკომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ვახტანგ აბაშიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ, ამ კომისიისგან ოფიციალური ლიცენზიის მიღების გარეშე, არც ერთ უცხოურ კომპანიას აფხაზეთის ტერიტორიაზე საქმიანობის დაწყების უფლება არ აქვს. თუ ამასაც გავითვალისწინებთ და საქართველოს ხელისუფლებაც მოინდომებს, შესაძლოა, მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნას აფხაზეთში სწორედ "მაგთისა" და "ჯეოსელის" შესვლისთვის. მით უმეტეს, რომ ისინი შესაბამის ლიცენზიებს ფლობენ. თავის მხრივ, ეს ორი კომპანია აფხაზეთისადმი დაინტერესებას უკვე ამჟღავნებს. ამ ეტაპზე ეს ალბათ უფრო პოლიტიკური ფაქტორით აიხსნება, ვიდრე – ეკონომიკურით.

მართალია, მობილური კავშირგაბმულობის ქართულ კომპანიებს, უშუალოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე საბაზო სადგურები არ გააჩნიათ, მაგრამ მიმდებარე რაიონებში განლაგებული მათი რეტრანსლატორები ამ რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავენ. კერძოდ, "მაგთის" ინფორმაციით, კომპანიის ზუგდიდის საბაზო სადგურები ფარავენ აფხაზეთის შემდეგ ტერიტორიებს: გალს, ოჩამჩირეს, გულრიფშს, მთლიანად საავტომობილო გზას სოხუმამდე და გზის მიმდებარე დასახლებებს კელასურამდე. ხოლო კოდორის საბაზო სადგურებით იფარება: ხიდოს უღელტეხილიდან ზემო და ქვემო აჟარისა და ჩხალთის მიმართულებები, ასევე მარცხენა პტიშის მიმდებარე ტერიტორია. "ჯეოსელის" ინფორმაციით კი, მისი საბაზო სადგურების მეშვეობით, გალის ტერიტორია სრულად არის მოცული. რუსული კომპანიების საზღვრისპირა სადგურების მეშვეობით კი გადაფარულია განთიადისა და ლესელიძის ტერიტორიები.

"ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მანანა დულარიძის განცხადებით, სახელმწიფოს ხელშეწყობა, უპირველესად, ანძებისა და მათი მომსახურე პერსონალისთვის უსაფრთხოების გარანტიების შექმნაში უნდა გამოიხატებოდეს. მაშინ "ჯეოსელი" მზად იქნება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქმიანობის დასაწყებად. უფრო ფრთხილი პოზიცია აქვს "მაგთის". მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ზურაბ გურგენიძის განცხადებით, აფხაზეთში საქმიანობის დაწყების კომერციულ მიზანშეწონილობაზე საუბარი ნაადრევია. არ არსებობს ზუსტი დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა მონაცემები, რაც აუცილებელია ამა თუ იმ რეგიონში სერვისის მომგებიანობის შესაფასებლად. ვახტანგ აბაშიძის აზრით კი, მიუხედავად იმისა, რომ "მაგთისა" და "ჯეოსელს" აფხაზეთის ტერიტორიის ათვისებისთვის სერიოზული ხარჯების გაწევა მოუწევთ, ეს პროექტი მათთვის კომერციულად უინტერესო არ იქნება. **"მაგრამ აუცილებელია უსაფრთხოების გარანტიების შექმნა, როგორც ქართული, ისე აფხაზური მხრიდან. გარდა ამისა, კომპანიებისთვის ფინანსური ხელშეწყობის მექანიზმებიც უნდა განისაზღვროს",** - მიაჩნია მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს. ვახტანგ აბაშიძის თქმით, კომისია ამ პროცესისთვის ხელის შესაწყობად, თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, ყველაფერს გააკეთებს.

ნათელია, რომ შექმნილი ვითარების საქართველოს ინტერესებისთვის გამოსაყენებლად ხელისუფლებისგან მხოლოდ ინიციატივის გამოჩენა არ კმარა. მას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაც მოუწევს. რუსეთის მხრიდან დაფიქსირებული არაჯანსაღი ინტერესი კი ალბათ საუკეთესო სტიმულად უნდა იქცეს საქართველოსთვის. მით უმეტეს, რომ აფხაზეთის ტელეკომუნიკაციები ერთადერთი დარგი არ არის, რომელიც რუსეთის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამის მაგალითად ადლერისოხუმის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენაც გამოდგება. ახლახან გავრცელებული ინფორმაციით კი, ერთერთმა რუსულმა ბანკმა ("ევროპული სატრასტო ბანკი") აფხაზეთში ფიზიკური პირების ფულადი გადარიცხვების პუნქტებიც გახსნა. საქართველოს სამეწარმეო წრეებში რამდენიმე წლის წინათ გაჩენილი მოსაზრებით, აფხაზეთის დაბრუნების შესაძლებლობა მის ტერიტორიაზე ქართული ბიზნესის შესვლას უკავშირდებოდა. მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთი ახორციელებს ამ მიდგომას. ცხადია, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

უცხოეთი

# პალესტინაში სისხლის ღვრა ისევ გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი

ისრაელის არმიის ქვედანაყოფები ღაზას სექტორის ჩრდილოეთში, პალესტინურ ქალაქ ბეით-ჰანუნში შევიდნენ. მოსახლეობამ ებრაელ სამხედროებს საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია. შეტაკების შედეგად ოთხი პალესტინელი დაიღუპა, ხოლო ოცზე მეტი მძიმედ დაშავდა. გარდა ამისა, ისრაელის სამხედრო ნაწილებმა ქალაქის მთავარი ელექტროგენერატორი გაანადგურეს, რის შედეგადაც მთელი ქალაქი სიბნელემ მოიცვა.

ბეით-ჰანუნში ჯარების შეყვანამდე რამდენიმე საათით ადრე ისრაელის თავდაცვის მინისტრმა შაულ მოფაზმა განაცხადა, რომ ოპერაციის მიზანი პალესტინელების მიერ "კასამ-2" ტიპის რაკეტების გამოყენების აღკვეთა იქნებოდა. **"ეს ოპერაცია შეაზანზარებს სექტორს, საიდანაც ჩვენ გვესვრიან და დარტყმას მიაყენებს ტერორისტულ ინფრასტრუქტურას,"** - განაცხადა მინისტრმა ისრაელის რადიოთი გამოსვლისას.

რაკეტები, რომლის გაშვებაზეც პასუხისმგებლობა თავის თავზე რადიკალურმა ისლამურმა დაჯგუფებამ - "ჰამასმა" აიღო, ისრაელის სამხრეთ ტერიტორიაზე დაეცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ შეტევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, რაკეტებმა მნიშვნელოვანი ნგრევები გამოიწვიეს და რაიონს მატერიალური ზიანი მიაყენეს. სწორედ ამ ფაქტის გამო, ისრაელის ხელმძღვანელობამ საპასუხო ოპერაციის ჩატარების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება და, როგორც ჩვევია ხოლმე, რამდენიმე საათში ჩანაფიქრი სისრულეშიც მოიყვანა.



პალესტინელი ბავშვები ისრაელის ტანკების წინააღმდეგ.

REUTERS

ბეით-ჰანუნის გარდა, ებრაელმა სამხედროებმა სპეცოპერაციები სხვა რაიონებშიც ჩაატარეს. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ნაბლუსში ისრაელის სამხედრო ოპერაციას ორი პალესტინელის – ქალისა და მამაკაცის სიცოცხლე შეეწირა. ებრაელი სამხედროების თქმით, პალესტინელებმა მათ სპეცდანაყოფს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ადგილზევე მოხდა მათი ლიკვიდაცია. გარდა ამისა, ორმხრივი სროლის დროს ებრაელებმა რამდენიმე პირიც დააპატიმრეს, რომლებსაც წელზე ასაფეთქებელი ნივთიერების სარტყელი ჰქონდათ მიმაგრებული.

ამ შეტაკებების გარდა, ჰებრონის მახლობლად ებრაულ დასახლება ბეით-ჰაგაიში ისრაელის არმია განაგრძობდა ეჭვმიტანილი პალესტინელების ძებნას, რომლებსაც სამი ებრაელი სამხედრო პირის მკვლელობაში ედებათ ბრალი. ამ აქციაზე პასუხისმგებლობა "ჰამასიის" გასამხედროებულმა ფრთამ - "ალ აქსას წამებულთა ბრიგადებმა" აიღო თავის თავზე.

იმ დროს, როდესაც ისრაელის არმია პალესტინის ტერიტორიაზე საპასუხო აქციებს ახორციელებდა, რადიკალური პალესტინური დაჯგუფებების წარმომადგენლები ეგვიპტის დედაქალაქში შეიკრიბნენ, სადაც, ამ ქვეყნის ხელისუფლების ინიციატივით, დაიწყო მოლპარაკებები მშვიდობიან ებრაელებზე თავდასხმების შეწყვეტის მიზნით. თუმცა, "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" წარმომადგენლებმა თავიდანვე უარყვეს აღნიშნული ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის ახალი ტალღა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში მაშინ დაიწყო, როდესაც ისრაელი საყოველთაო არჩევნებისათვის ემზადება. დამკვირვებლები გამარჯვებას ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს უწინასწარმეტყველებენ. შარონის საარჩევნო კამპანია აგებულია შემდეგ პრინციპზე: **"არავითარი მოლაპარაკებები პალესტინელებთან, ვიდრე ისინი არ შეწყვეტენ თავდასხმებს."** თუმცა, ჯერჯერობით თავდასხმები და სისხლის ღვრა გრძელდება. არიელ შარონიც აცხადებს, რომ არმია პალესტინელთა ტერაქტებს ასევე სასტიკი მეთოდებით დაუპირისპირდება. როგორც ჩანს, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ასეთი მიდგომა ებრაელებს საკმაოდ მოსწონთ, რადგან, წინასწარი გამოკითხვების თანახმად, არიელ შარონი საგრძნობლად უსწრებს შრომის პარტიის ლიდერს ამრამ მიცნუს, რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში, ღაზას სექტორიდან ჯარების გამოყვანას ერთი წლის განმავლობაში აპირებს.

# ჩეხეთი კვლავ პრეზიდენტის გარეშე დარჩა

პირველი გვერდიდან

იგი თავისი მკვეთრი გამონათქვამებით არის ცნობილი. სწორედ ზემანი იყო, ვინც იასირ არაფატი ადოლფ ჰიტლერს შეადარა და დაახლოებით 900 ათას ავსტრიელს "იდიოტი" უწოდა, რადგანაც მათ ხელი მოაწერეს პეტიციას ევროკავშირის მიმართ, სადაც ევროკავშირის რიგებში ჩეხეთის რესპუბლიკის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ, ვიდრე პრაღა ავსტრიის საზღვართან განთავსებულ ატომურ ელექტროსადგურს არ დახურავდა.

პირველ ტურში დამარცხებულ ზემანს ბედი მეორედ აღარ უცდია. ამჟამად ფავორიტად 90-იანი წლების ჩეხური პოლიტიკის ცნობილი მოღვაწე ვაცლავ კლაუსი ითვლებოდა. თუმცა, ვერც მან შეძლო შედარებით ურეიტინგო კონკურენტის - ექიმის, ყოფილი დიპლომატისა და დიკ ფრენსისის რომანების მთარგმნელის იაროსლავა მოშეროვას დამარცხება.

როგორც ცნობილია, ამჟამინდელი პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის უფლებამოსილება 2 თებერვალს იწურება. ვინაიდან პარლამენტმა ახალი პრეზიდენტის არჩევა ვერ მოახერხა, იმ პოლიტიკოსთა და საზოგადოებრივი მოღვაწეების პოზიციები ძლიერდება, რომლებიც სახალხო, საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების ჩატარებას ითხოვენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩეხეთი, შესაძლოა, გარკვეული დროის მანძილზე პრეზიდენტის გარეშე დარჩეს, რადგან საყოველთაო არჩევნების ჩატარებას ჯერ კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა ესაჭიროება, რაც არც თუ ისე ადვილი პროცედურაა.

# ესპანეთში „ალ ქაიდას" წევრები დააპატიმრეს

ესპანეთში ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები დააპატიმრეს, რომლებიც საერთაშორისო ტერორისტული ქსელის "ალ ქაიდას" წევრობაში არიან ეჭვმიტანილები. 16 დაპატიმრებულიდან უმრავლესობას ალჟირელები წარმოადგენენ.

ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ხოსე მარია ასნარმა სამართალდამცავთა ქმედება მაღალ დონეზე შეაფასა და ამ აქციას "უკიდურესად მნიშვნელოვანი" უწოდა. მან დასძინა, რომ ეჭვმიტანილთა დაპატიმრების დროს ამოღებულია ასაფეთქებელი და ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც, შესაძლოა, ტერორისტული აქტის გასახორციელებლად გამოეყენებინათ. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა რკინის ორი ჭურჭელი. ჯერჯერობით დაუზუსტებელი მონაცემებით მათში, შესაძლოა, მომწამვლელი ნივთიერება - რიცინი იყოს მოთავსებული.

როგორც ცნობილი გახდა, კატალონიის პროვინციაში ჩატარებულ ოპერაციაში 150-ზე მეტი პოლიციელი იღებდა მონაწილეობას. სააგენტო "ბი-ბი-სის" კორესპონდენტის განმარტებით, ოპერაციების დეტალების განხილვისას ცხადი ხდება, რომ ესპანელმა სამართალდამცავებმა საკმაოდ სერიოზული მასშტაბის ტერაქტის აღკვეთა შეძლეს. აღნიშნულ ოპერაციას ესპანელებიც ტერაქტის აღკვეთის კვალიფიკაციას აძლევენ.

ესპანეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, დაპატიმრებულებმა მომზადება "ალ ქაიდას" საწვრთნელ ბანაკებში გაიარეს. მათი დაკავების მიზნით ჩატარებულ სპეცოპერაციას წინ ხანგრძლივი მომზადება და დეტალური გამოძიება უძღოდა, რომელშიც ბრიტანელი და ფრანგი სამართალდამცავებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ეკონომიკა

# "უკან აღარ დავიხევთ"



კრწანისის მოსახლეობა მილსადენის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

სოფელი კრწანისი სვანეთიდან ჩამოსახლებული 120 ოჯახისგან შედგება. შემუშავებული მარშრუტის თანახმად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მხოლოდ 39 ოჯახის საკუთრებაში არსებულ მიწებზე გაივლის. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია მილსადენებმა ამ მარშრუტით გაიაროს. კრწანისელების აღშფოთების მიზეზია ნავთობსადენით სოფლის ორ ნაწილად გაყოფის "პერსპექტივა" და ის გარემოება, რომ მილი დასახლებული ადგილიდან სულ რაღაც 40 მეტრის სიახლოვეს გაივლის.

კრწანისელების აღშფოთებას სოფლის გარშემო განლაგებული რამდენიმე სამხედრო ნაწილიც ამძაფრებს. მათ შორის თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ნაწილი, კომანდოს ბატალიონი, რუსეთის შინაგანი ჯარი. ასეთ "ალყაში" მოქცეული მოსახლეობა შიშობს, რომ, სოფელში მილსადენების გაყვანით, სერიოზული საფრთხის კიდევ ერთი კერა გაჩნდება. **"არც მიწა მაინტერესებს, არც მაგათი კომპენსაცია, ოჯახებს ვიცავთ უბედურებისგან. ოჯახის დაცვისა და უსაფრთხოებისთვის კი ყველაფერს გავაკეთებთ. გარანტიებს კი იძლევიან, მაგრამ რამე რომ მოხდეს, რაში გამომადგება მაგათი გარანტია და დაპირება. თავს შევწირავთ, თუ ჩვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ",** - აღშფოთება ვერ დამალა სოფლის ერთ-ერთმა მკვიდრმა გიორგი მარგველანმა. მისი მოსაზრება იქვე შეკრებილმა ოცამდე თანასოფლელმაც გაიზიარა.

BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ მარშრუტის შეცვლაზე საუბარი არც არის, რადგან ის **"ყველა მხარის მიერ უკვე დამტკიცებულია"**. BP მოსახლეობის გადასახლების აუცილებლობასაც ვერ ხედავს, რადგან მილსადენები, თურმე, საერთაშორისო უსაფრთხოების ზომებსა და სტანდარტებს დააკმაყოფილებენ. ამიტომ **"გადასახლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ჩვენს კომპეტენციაში არ შედის, რადგან ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მოსახლეობას იქ რაიმე საფრთხე ემუქრება",** - განაცხადა BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რუსუდან მეძმარიაშვილმა.

კრწანისის მოსახლეობამ სოფლის პოზიცია წერილობითი ფორმით BP-ისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციას, პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიას ჯერ კიდევ სექტემბერში აცნობა. მაგრამ მათ დღემდე პასუხი არც ერთი უწყებიდან არ მიუღიათ. ეს ფაქტი BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტშიც დაადასტურეს. "დუმილი" კი იმით ახსნეს, რომ მოსახლეობასთან პირადად შეხვედრა არჩიეს. **"ჩავედით კიდეც, შევხდით სოფლის მოსახლეობას, ვესაუბრეთ წერილში მოყვანილ პრობლემებზე და ვეცადეთ, განგვემარტა ამ მილსადენების უსაფრთხოება",** - აღნიშნა მეძმარიაშვილმა.

**"ჩვენ გავაფრთხილეთ, თუ ამოხვალთ - მოგკლავთ. ხატზე გვაქვს დაფიცებული, რომ უკან აღარ დავიხევთ. სულაც არ მინდა, ჩემი შვილები მუდმივი საშიშროების მოლოდინში ცხოვრობდნენ",** - განაცხადა სოსო კვიციანმა. კრწანისელების თქმით, მათი გადაწყვეტილება საბოლოოა და ამის შესახებ მათ არაერთხელ აცნობეს BP-ისა და საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციას. თავისი პოზიციის დასაცავად კრწანისელებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს – სოფლის მოსახლეობამ მიწის ინვენტარიზაციისთვის ჩასული მიწის შეძენის ჯგუფის წარმომადგენლებს ნაკვეთების გაზომვის საშუალება არ მისცა. კრწანისელების მუქარის მიუხედავად, BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინფორმაციით, ინვენტარიზაცია აუცილებლად ყველგან ჩატარდება, რადგან ამის გარეშე მიწის კომპენსაციის დადგენა შეუძლებელია.

27 იანვარს BP ახალციხეში, ბორჯომსა და ბაკურიანში კომპენსაციებს დაარიგებს.

# BP-ის უსაფრთხოების ზომების დარღვევაში ადანაშაულებენ

თორნიკე შარაშენიძე

*ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის უმსხვილეს მეწილეს, მსოფლიოში სიდიდით მეორე ნავთობგიგანტს "ბრიტიშ პეტროლიუმს" ერთობ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა და თავის მართლება უწევს. კომპანიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა ინვესტორმა "აი-ეს-აი-ეს ასეტ მენეჯმენტმა" განაცხადა, რომ იგი სერიოზულად არის შეშფოთებული იმ პრობლემებით, რომლებიც "ბი-პის" ალიასკაზე შეექმნა. ინვესტორი შიშობს, რომ მსგავსი პრეცედენტი, შეიძლება, სხვაგანაც განმეორდეს, სადაც ნავთობგიგანტი მოღვაწეობს. ამ დაძაბული ურთიერთობებისა და მისი მიზეზების შესახებ მსოფლიომ ყველაზე ავტორიტეტული ეკონომიკური გაზეთის - "ფაინენშლ თაიმსის" ფურცლებიდან ხუთშაბათს შეიტყო.*

ცხადია, კომპანია ყოველივე ამას უარყოფს და აცხადებს, რომ უსაფრთხოების მხრივ მას ცოტა ვინმე თუ შეედრება სანავთობო სფეროში. მაგრამ, "აი-ეს-აი-ეს-ის" გარდა, მსგავს შეშფოთებას სხვებიც გამოთქვამენ. კერძოდ, ახსნა-განმარტებები მოითხოვა "უნივერსითიზ სუპერენეუეიშენ სოსაითიმ," რომელიც BP-ის 30 უდიდეს მეწილეებში შედის. თუმცა, ახსნა-განმარტება, ალბათ, ერთი სახის იქნება: ნავთობგიგანტი ყველაფერს უარყოფს.

"აი-ეს-აი-ეს-მა" კომპანიას საჯაროდ დაუსვა შემდეგი სამი შეკითხვა: **"შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ BP-ის ალიასკის მაგვარი პრობლემები სხვაგანაც შეექმნება?" "შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ BP-ის ხელმძღვანელობაში ერთს წყვეტენ, სამუშაო ადგილას კი მეორე კეთდება?"** და **"გვეუბნება თუ არა ყოველივე ეს, რომ კომპანიაში განხორციელებულმა ხარჯთშემცირების პროგრამამ უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებიც შეიწირა?"**

BP-ის ამ სამ შეკითხვაზე სამი პასუხი აქვს: არა, არა და არა. **"გასული წლის მოვლენებით ჩვენც არა ვართ კმაყოფილნი და ახლა სერიოზულად ვმუშაობთ, რომ იგივე არ განმეორდეს,"** - ისინი "აი-ეს-აი-ეს-ის" პასუხად მაინც უკან იხევენ.

გასული წლის მოვლენებში კი იგულისხმება აფეთქება ალიასკის საბადოებზე, რამაც BP-ის საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამერიკის ხელისუფლებასთან.

ყოველივეს მიუხედავად, ბრიტანული გაზეთის ცნობით, BP ჯერჯერობით ნდობის საკმარისი ვოტუმით სარგებლობს. ზემოთ ჩამოთვლილ მეწილეთა გარდა, სხვები ამ ეტაპზე თავს იკავებენ ანალოგიური შეკითხვებისაგან. კომპანიის კიდევ ერთი მსხვილი ინვესტორი - "სრედნიდელ ინვესტმენტზი" კი ამასობაში ყველას არწმუნებს, რომ BP, უსაფრთხოების ზომების მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე საიმედოა.

# გარდაიცვალა "ფიატის" პატრიარქი და აქციებმაც აიწია




ჯანი ანიელი

REUTERS

*"ფიატის" საგაში, რომელიც, თითქმის ერთი წელია, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, კულმინაციური მომენტი დადგა. 81 წლის ასაკში გარდაიცვალა კომპანიის მეპატრონე, დინასტიის პატრიარქი, იტალიის ალბათ ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი - ჯანი ანიელი. მისმა სიკვდილმა ორიოდე საათით დაასწრო ანიელების ოჯახის საგანგებო შეკრებას, რომელზეც "ფიატის" მომავალი უნდა განხილულიყო.*

თორნიკე შარაშენიძე

ანიელები გლოვობენ, მაგრამ "ფიატის" აქციონერები ნაკლებად. პატრიარქის გარდაცვალება და კომპანიის აქციების აწევა ერთი იყო. ინვესტორებს იმედი მიეცათ, რომ მაგნატის გარდაცვალების შემდეგ "ფიატის" რესტრუქტურიზაციას აღარავინ შეუშლის ხელს და კომპანია მალე გამოვა არნახული კრიზისიდან. თუნდაც, ამისათვის მისი გაყიდვა გახდეს საჭირო, რასაც ჯანი ანიელი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა.

გარდაცვლილი პატრიარქი, 1966 წლიდან 1996 წლამდე, მისი დიდი პაპის მიერ 1899 წელს დაარსებული "ფიატის" თავმჯდომარე გახლდათ. შემდეგ საპატიო თავმჯდომარე იყო და კომპანიას, ფაქტობრივად, მაინც იგი განაგებდა. ანიელი მეტად გავლენიანი ფიგურა გახლდათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი მეგობრობდა ჰენრი კისინჯერთან და პამელა ჰარიმანთან. როცა 1996 წელს ფიდელ კასტრომ ევროპაში ჩაბრძანება ინება თუ გაბედა, სულ ორ ადამიანს შეხვდა - რომის პაპსა და ჯანი ანიელის.

პატრიარქის სიკვდილის მიზეზად პროსტატის კიბო იქცა, რითიც ანიელების ოჯახის თავკაცი ბოლო ხანებში იტანჯებოდა. ამის გამო "ფიატის" მეპატრონე თითქმის აღარ გამოდიოდა საჯაროდ. გასული წლის მაისში კი, ბოლო 50 წლის განმავლობაში პირველად, კომპანიის აქციონერთა სხდომა გააცდინა, რადგან ნიუ-იორკში სამკურნალოდ მოუწია წასვლა. საერთოდ, ბოლო ორი წელი, მას შემდეგ, რაც 2000 წლის ნოემბერში მისმა ერთადერთმა ვაჟმა ედუარდომ თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, პატრიარქი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. ახლა, მისი გარდაცვალებით, შეიძლება ითქვას, ბოლო მოეღო იტალიის ყველაზე ძლევამოსილი დინასტიის ზეობას. ჯანის სუსტი ხასიათის ძმა - 68 წლის უმბერტო, აშკარად, არ არის ის ფიგურა, რომელიც შეიძლება "ფიატის" იმპერიას გაუძლვეს და იგი გაყიდვისაგან იხსნას. ვაჟი უმბერტოსაც ჰყავდა, მაგრამ ისიც ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა ასაკში. ასე რომ, დიდ იმპერიას მემკვიდრე საერთოდ არ რჩება.

ამიტომაც "ფიატის" ინვესტორებს იმედგაცრუება, ალბათ, არ ელით. სულ მალე კომპანია, შესაძლოა, სხვის საკუთრებაში გადავიდეს და ამას ხელს ველარავინ შეუშლის. გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ ვინ იქნება კომპანიის ახალი მეპატრონე – "ტელეკომ იტალიის" ყოფილი თავკაცი რობერტო კოლანინო, რომელიც მზადაა, 4 მილიარდი ევრო ჩადოს "ფიატში" თუ "ჯენერალ მოტორზი," რომელიც "ფიატის" საავტომობილო ბიზნესის 20 პროცენტს უკვე აკონტროლებს და არც დარჩენილ ნაწილზე იტყვის უარს.

# მძიმე წარსულის, რთული აწმყოსა და გაურკვეველი მომავლის ბავშვები

## ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა მარტყოფის სახლის მაგალითზე

პირველი გვერდიდან

### დიდი სახლის პატარა, არასამთავრობო "საფეხურები"

მარტყოფის ბავშვთა სახლზე მეურვეობა არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურებმა" 1998 წლიდან აიღო. თავდაპირველად, მისი ინიციატივით, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდათ. შემაშფოთებელი მაჩვენებლების გამო, "საფეხურებმა" დახმარებისთვის მიმართა ამერიკულ ორგანიზაცია "World Vision Georgia"-ს. ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ორი წლის განმავლობაში, ბავშვები რეგულარულად გადაჰყავდათ მათ ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელ ბავშვთა მეორე საავადმყოფოში, სისტემატურად უტარდებოდათ სხვადასხვა სახის გამოკვლევა. სახლი აუცილებელი, პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ მცირეგრანტიანი და მოკლევადიანი პროექტი 2001 წლის ნოემბერში დაიხურა;

სამი წლის წინ, "საფეხურების" თხოვნით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებამ (GTZ) და ბიომეურნეობათა ასოციაცია "ელკანამ" მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მარცვლეულის, ბოსტნეულის მოყვანა, ყვავილების დარგვა და მოვლა ასწავლა; თუმცა, ეს საქმიანობა ტრადიციად ვერ დამკვიდრდა.

გერმანელი მეგობრების დახმარებით, "საფეხურებმა" გერმანიაში საქველმოქმედო ბაზრობა მოაწყო. შეგროვილი თანხით მარტყოფის ბავშვთა სახლში რემონტი ჩატარდა. თუ ადრე სხვადასხვა ასაკისა და სქესის რამდენიმე აღსაზრდელს ერთ ოთახში ეძინა, რემონტის შემდეგ თითო საძინებელი ოთხ ოთახად გადაიტიხრა. ახლა თითო ოთახში ოთხი ბავშვი ცხოვრობს. გერმანიის საელჩოს დახმარებით, საშხაპეები და სპორტული დარბაზიც გარემონტდა.

"საფეხურების" წევრებმა შეაკეთეს სასადილოს სახურავიც; შემოწირულობებით გარემონტდა სასადილო, სადაც სანიტარული ნორმები, შეძლებისდაგვარად, დღემდე შენარჩუნებულია;

წყალგაყვანილობის ათწლიანი პრობლემის გადასაწყვეტად "საფეხურებმა" მოაწყო პროექტის პრეზენტაცია და ბავშვთა ნახატებისა და ნაძერწი ნაკეთობების ორი გამოფენა. გაიყიდა გამოფენებზე დასასწრები ბილეთები, შეგროვდა შემოწირულობები, გათამაშდა ლატარია. პრიზებიც ბავშვთა ნამუშევრები იყო. პროექტი მოიწონა იაპონიის საელჩომ და მარტყოფის ბავშვთა სახლში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა ამოქმედდა; გაკეთდა წყლის ჭაბურღილი, დამონტაჟდა სოლარული გათბობის ბატარეა და წყლის რეზერვუარი; საცხოვრებელ კორპუსში გარემონტებულია საპირფარეშოები და პირსაბანები. თუმცა, ნესტმა და მიწისძვრამ შენობას თავისი კვალი მაინც დაატყო. მარტყოფში ცხელი წყალიც აქვთ, მართალია, ამჯერად გაყვანილობა შესაკეთებელია, მაგრამ, როგორც ბავშვებმა გვითხრეს, "სოსო დირექტორი მალე გააკეთებინებს".

"საფეხურებმა", გერმანიის საელჩოს დახმარებით, კარ-ფანჯრების თბოიზოლაცია მოახერხეს, მაგრამ მცდელობა კრახით დასრულდა - უმცროსმა ბავშვებმა კარ-ფანჯარაში დატანებული რეზინი დაძიძგნეს და დალეჭეს. საბედნიეროდ, ამის გამო მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ შექმნია.

"საფეხურების" ინიციატივით, მარტყოფის ბავშვთა სახლში მოეწყო სახელოსნო, დაარსდა ხის მხატვრული დამუშავების წრე.



მარტყოფის ბავშვთა სახლის რეალობები





ორი წლის წინ ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ დაფინანსდა პროექტი "შემოქმედებითი უნარის განვითარება მარტყოფის უდედმამო ბავშვებში". ბავშვებს რეგულარულად უტარდებოდათ ხატვის, ფერწერისა და ძერწვის გაკვეთილები. მათი ნამუშევრების გამოფენა გალერეა "RE-აქციაში" მოეწყო.

ბავშვებმა დადგეს თოჯინების სპექტაკლი "სამი გოჭი", რომლისთვისაც თოჯინები და დეკორაცია დამოუკიდებლად დაამზადეს.

პატარების სულიერ მდგომარეობაზე ზრუნავს ბავშვთა სახლთან ახლო მდებარე დედათა მონასტერიც. კვირაში ერთხელ მონაზვნებს ბავშვები მონასტერში მიჰყავთ. მათ, თურმე, განსაკუთრებით მოსწონთ წმინდანთა ცხოვრების ამბები და მონაზვნებს ხშირად ერთსა და იმავეს აყოლიებენ.

ყველაფრის მიუხედავად, სახლის დირექცია, თანამშრომლები, აღმზრდელები, ძირითადად, მაინც ყოველდღიურ პრობლემებს ებრძვიან. თითქმის ყოველდღე რაღაცა გამოდის მწყობრიდან და ყოფითი პრობლემის გამო დირექცია ბავშვების განათლებასა და სულიერ განვითარებაზე სათანადოდ ვერ ზრუნავს. დაწყებითი კლასის გაკვეთილები ბავშვებს ადგილზე უტარდებათ. უფროსები კი სოფლის საშუალო სკოლაში უნდა დადიოდნენ, მაგრამ, როგორც ყველგან, სწავლისთვის არც აქ იკლავენ თავს - "ისე ყოფნა" ან თამაში ურჩევნიათ. უმცროსები, ძირითადად, "ძაღლებთან გლახაობით და თაგვების ჭერით" ერთობიან. "წიგნების კითხვა მოსაწყენიაო", - გვითხრეს. უფროსები კი, "თუ მაინცდამაინც", დეტექტივებს კითხულობენ. "დეტექტივები და რომანები - კიდე ჰო!" - დაგვნებდა ოცდაოთხი წლის ეკა.

ბევრი მათგანი, უკვე დიდი ხანია, ბავშვი აღარ არის, მაგრამ იმის გამო, რომ წასასვლელი არა აქვს, ისევ ბავშვთა სახლში ცხოვრობს. საღამოობით უფროსები, თუ შუქი არ არის, ქალაქობანას სანთლის შუქზე თამაშობენ, თუ შუქია - დისკოთეკას აწყობენ. ასეთ გამონაკლის დღეებში უმცროსებიც გვიანობამდე არ იძინებენ. მათ, განსაკუთრებით, "უცნობი" მოსწონთ და "შეყვარებულების სიმღერებზეც" სიამოვნებით ცეკვავენ.

### სახელმწიფოებრივი ზრუნვა

საქართველოს ბიუჯეტმა ამ ბავშვებს დღეში 1.80 თეთრი დაუწესა. სახელმწიფოს გათვლით, ეს თანხა ბავშვების ოთხჯერადი კვებისთვის საკმარისია. რეალურად კი, როგორც საწყობის გამგე "ანიკო ბაბო" ამბობს, ეს თანხა ბავშვებს ძლივს ჰყოფნის და მათი ძირითადი საარსებო წყარო მსოფლიოს სასურსათო პროგრამაა.

მსოფლიო და ევროკავშირის სასურსათო პროგრამის ბავშვთა სახლებით დაინტერესება ორი-სამი წლის წინ, განათლების სამინისტროს შუამდგომლობით მოხერხდა. 40 საბავშვო სახლსა და სკოლა-ინტერნატს კურირებს განათლების სამინისტროსთან არსებული სკოლამდელი აღზრდის ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველო.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს ბავშვთა ყველა ინსტიტუციას, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტზეა, ჰყავს საშეფო ორგანიზაცია. მარტყოფის ბავშვთა სახლის საშეფო ორგანიზაცია უშიშროების სამინისტროა. "მინისტრები კი შეიცვალნენ, მაგრამ სამინისტროს ყურადღება ამ სახლის მიმართ არ შეცვლილა", - გვითხრა სკოლამდელი აღზრდის ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსმა ირინე ფიფიამ. უშიშროების სამინისტრო ბავშვებს ზაფხულობით, 24 დღის განმავლობაში, შავ ზღვაზე, ციხისძირში ასვენებს; დღესასწაულებზე კი სამინისტროს ხელმძღვანელობას ბავშვებისთვის საჩუქრები მიაქვს. წლეულსაც, საახალწლოდ, ვალერი ხაბურძანიას ბავშვებისთვის ტანსაცმელი და ტელევიზორი ჩაუტანია.

სამედიცინო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც 1998 წლიდან მოქმედებს, ინფექციური და ფსიქიატრიული გამოკვლევებისა და პრევენციული ღონისძიებების გარდა, ითვალისწინებს ბავშვთა სახლების აღსაზრდელების ღრმა სამედიცინო შემოწმებას წელიწადში ერთხელ. "საფეხურებისა" და ამერიკული ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის დახმარებით, შესაძლებელი იყო მარტყოფის ბავშვთა სახლის აღსაზრდელების ჯანმრთელობის სისტემატური კონტროლი და, შესაბამისად, ყველანაირი ღონისძიების დროულად გატარება", - გვითხრა რესპუბლიკის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ქირურგმა რამაზ რუხაძემ.

2002 წლის მონაცემებით, საქართველოს ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებიდან 400-მდე აღსაზრდელს დასჭირდა სტაციონარული მკურნალობა. ბავშვთა სახლების ძირითადი პრობლემა მკბენარების შემოსევა და კანის დაავადებებია. მათ შორის განსაკუთრებით ხშირია მუნის შემთხვევები. გამონაკლისი, ცხადია, არც მარტყოფის ბავშვთა სახლია. თუმცა, აღსაზრდელები და, განსაკუთრებით, აღმზრდელები, ადრე, პირობების გაუმჯობესებამდე, უფრო მძიმე ვითარებაში ყოფილან.

ბავშვის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისა და პოტენციალის სრული გამოვლენისთვის ერთ-ერთ ძირითად უფლებად ითვლება მისი ოჯახურ გარემოში აღზრდა. ამის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები "შვილად აყვანის წესი" და "ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილობილობის შესახებ". "ეს კანონები ითვალისწინებენ რა კონვენციის მოთხოვნებს, პრიორიტეტს ანიჭებენ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების აღზრდას არა ბავშვთა სახლებში, არამედ სრულფასოვან ოჯახებში", - გვითხრა სკოლამდელი აღზრდის საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა თამარ ამზაშვილმა.

აღნიშნულ კანონებზე დაყრდნობით, საქართველოს განათლების სამინისტრომ 1999 წელს შეიმუშავა პროგრამა, რომლის თანახმად ქვეყანაში დაიწყო სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვთა სახლების დეინსტიტუციონალიზაცია.

პროექტის "ბავშვი და ოჯახი"-ს განხორციელებაში განათლების სამინისტროს პარტნიორები არიან გაერო-ს ბავშვთა ფონდი და ბრიტანული ორგანიზაცია "Every Child". პროექტი თბილისში, რუსთავში, თელავში, ქუთაისსა და ბათუმში მიმდინარეობს და ითვალისწინებს ბავშვთა სახლების აღსაზრდელების დაბრუნებას მათ ბიოლოგიურ ოჯახებში ან მათ მოთავსებას სპეციალურად შერჩეულ და მომზადებულ ე.წ. მიმღებ ოჯახებში.

"Every Child"-ის ხელშეწყობით მოხდა ბავშვთა სახლების მონიტორინგი, ანუ კონტიგენტის სოციალური მდგომარეობის შესწავლა, რათა მომხდარიყო თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური დახმარების ფორმების შერჩევა. "დამუშავებულმა მასალამ განსაზღვრა პროექტის პრიორიტეტები, გამოკვეთა, რომ ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა 80 პროცენტზე მეტს აქვს საშუალება დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგად 157 ბავშვი ბიოლოგიურ ოჯახებში ცხოვრობს, ხოლო 32 ბავშვი მიმღებ ოჯახებში მოხვდა", - გვითხრა თამარ ამზაშვილმა.

"Every Child"-ის სპეციალისტებმა პროგრამის განსახორციელებლად გადაამზადეს სოციალური მუშაკები, რომლებიც "ასრულებენ მედიატორის როლს საზოგადოებასა და ბავშვთა სახლებში მცხოვრებ აღსაზრდელთა შორის; აფასებენ ოჯახის, ბავშვთა შესაძლებლობებს, ხელს უწყობენ პრობლემების მოგვარებასა და კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლაში", - აღნიშნა თამარ ამზაშვილმა.

პროექტის თანახმად, თითოეული ბიოლოგიური ოჯახი ექვსი თვის განმავლობაში იღებს დახმარებას ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით; მიმღებ ოჯახში განთავსებული ბავშვისთვის კი ყოველთვიურად 100 ლარია გათვალისწინებული. პროგრამის მიხედვით, სოციალური მუშაკები "მუდმივად ოჯახის გვერდით" უნდა იმყოფებოდნენ და თვალს ადევნებდნენ ბავშვისა და ოჯახის ურთიერთობას...

თამარ ამზაშვილის თქმით, "როგორც ყველა სიახლეს, ამ პროექტსაც თან სდევს განსხვავებული აზრი, რომელიც ძველი მენტალიტეტიდან, საქმეში ჩაუხედაობიდან და ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის უგულვებელყოფიდან მოდის. ამ საქმიანობის მიმართ, განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ თვით ბავშვთა სახლების ადმინისტრაციასა და იმ ადამიანებს, ვინც მათ ლობირებს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ბავშვის პრობლემებისადმი ამგვარი მიდგომა (რომელიც 40 წელზე მეტია აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში და ითვლება ყველაზე წარმატებულ და ჰუმანურ მიდგომად), შეამცირებს მათ კონტიგენტს და აუცილებელს გახდის ბავშვთა სახლების ქსელის რაციონალიზაციის პროცესს".

პროგრამით უკმაყოფილოა სკოლამდელი აღზრდის ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსი ირინე ფიფია. მისი თქმით, ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების შემდეგ ბავშვები მაინც არ ხვდებიან სათანადო პირობებში. რეალობა სულ სხვაა და, როგორც ჩანს, პროექტმა არ გაამართლა, - ფიქრობს ირინე ფიფია და მიანიშნებს ბიოლოგიურ ოჯახთა განცხადებებზე, რომლებშიც ისინი ბავშვების ისევ ბავშვთა სახლებში დაბრუნებას ითხოვენ. სოციალურ მუშაკთა ჯგუფის დიდი მონდომების მიუხედავად, ბავშვები ბიოლოგიურ ოჯახებთან მაინც გაუცხოებულები რჩებიან. გარემოს შეცვლა მათ ფსიქიკას კიდევ უფრო ძაბავს, რაც გადაულახავ ბარიერად იქცევა და მათი აქ დარჩენა გაუსაძლისი ხდება.

ბავშვთა ბიოლოგიურ და მიმღებ ოჯახებში გადანაწილების პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბავშვთა სახლების შემცირებაა. სახელმწიფო, ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლების რაოდენობის შემცირებით, მათი ხარისხის გაუმჯობესებას აპირებს, მაგრამ, ირინე ფიფიას თქმით, ამ სახლების რაოდენობა ვერ შემცირდება, ვიდრე საზოგადოებაში მოთხოვნა იარსებებს.

ფოსტა

# რას ისწავლიან სომხურენოვანი საჯარო მოხელეები სამცხე-ჯავახეთში

*გაზეთ "ჯორჯიან-თაიმსის" 2002 წლის 040 (202) ნომერში (17-24 ოქტომბერი) დაიბეჭდა კახა მაისურაძის წერილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილობრივი საჯარო მოხელეებისათვის ქართული ენის ინტენსიური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რომელიც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით ხორციელდება. წერილში უარყოფითად არის შეფასებული ხსენებული პროექტი და საბოლოო პათოსიც ასეთია: სახელმწიფო ენის სწავლების პროექტი ბლეფია, მას განხორციელება არ უწერია!*

*წინამდებარე წერილის ავტორები იმ სახელმძღვანელოს შემქმნელები არიან, რომლითაც, პროექტის ფარგლებში, სომხურენოვანმა საჯარო მოხელეებმა უნდა ისწავლონ. ბუნებრივია, ეუთოს ინიციატივით განხორციელებული პროექტის მაისურაძისეულ შეფასებებს არ ვეთანხმებით და საპასუხო წერილი გაზეთის რედაქციაში მივიტანეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ საპასუხო სტატიაში შეგნებულად მოვერიდეთ კახა მაისურაძესთან გაპაექრებას და წარმოვადგინეთ იმ სამუშაოთა ჩამონათვალი, რაც პროექტის ფარგლებში განხორციელდა. სამწუხაროდ, ეს წერილი "ჯორჯიან-თაიმსმა" არ დაბეჭდა... (ეს წერილი სრული სახით იბეჭდება ჟურნალში "ბურჯი ეროვნებისა"). რასაკვირველია, ამის მერე სრული უფლება გვაქვს, ქვემოთ წარმოდგენილი სტატია სხვა გაზეთში გამოვაქვეყნოთ, ამასთან, ეჭვიც გამოვთქვათ, რომ ბატონი კახა მაისურაძის წერილი, ნებსით თუ უნებლიედ, მავანის ინტერესებს ემსახურება და არაფერი აქვს საერთო ქართველი ერის სატკივართან...*

ნინო შარაშენიძე
კახა გაბუნია

ყველაზე გულსატკენი მაინც კახა მაისურაძის სტატიის წინ წამძღვარებული ფრაზაა: "ადგილობრივი სომხები სახელმწიფო ენად, ქართულის ნაცვლად, რუსულს სწავლობენ". როგორც ჩანს, ბატონი კახა საერთოდ არ დაინტერესებულა ეუთო-ს მისიის პროექტით, თორემ შეიტყობდა, რომ სწორედ ჩვენი პრინციპული პოზიციის დაცვით მოხერხდა ადგილობრივი სომხებისთვის ქართული ენის სწავლების პროცესიდან მესამე ენის (რუსულის!) ამოგდება. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწია, ვინაიდან "ქართული ენის ნამდვილი სპეციალისტები" (ვსესხულობთ ბატონი კახას სტატიიდან) დაჟინებით ამტკიცებდნენ, - ჩვენებურმა სომხებმა სომხური კარგად არ იციან (?), რუსულს კი შესანიშნავად ფლობენო...

ეს ერთადერთი არ არის, რაც სტატიის ავტორმა **არ იცის**. სტატიაში უამრავი უზუსტობა და ლაფსუსია გაპარული. ვფიქრობთ, ბატონ კახას მხოლოდ ერთი მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით რომ არ ესარგებლა და საფუძვლიანად გარკვეულიყო საქმის ვითარებაში, თავს მართლაც უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდებდა: დალოცვილო, კაცს ქრთამის აღებაში ადანაშაულებ და მისი სტატუსი თუ თანამდებობა მაინც არ უნდა იცოდე? მანანა გიგინეიშვილი კანცელარიის წარმომადგენელი ჰგონია ბატონ კახას (სინამდვილეში იგი პარლამენტარია, სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე), შალვა ტაბატაძე კი - ჯავახეთში ეუთოს მისიის წარმომადგენელი (სინამდვილეში - პროექტის კოორდინატორი, პარლამენტის წარმომადგენელი)... კურიოზულია საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის მაისურაძისეული სახელდება: **"ქართული ენის დაცვის პალატა"!**

ამთავითვე გვსურს განვაცხადოთ, რომ ნამდვილად არ გვინდა, ეჭვი შევიტანოთ კახა მაისურაძის გულწრფელობაში, შესაძლოა, მას მართლაც აწუხებს ქართული ენისა და, საერთოდ, ყოველივე ქართულის მიმართ არსებული განუკითხაობა სამცხე-ჯავახეთში; ბევრ რამეში მართალიც არის პატივცემული ჟურნალისტი. ნამდვილად ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ "ყველაფერი მაინც სომხებს და ეუთოს არ უნდა დაბრალდეს... "...ვაი, რომ სწორედ ურთიერთშუღლმა, შურმა, ქიშპობამ და ერთმანეთის გაუტანლობამ ბევრ რამეში მოგვჭრა თავი ქართველებს! სტატიაში აშკარად იკვეთება ნაწყენი ხალხის პოზიცია - იმ მასწავლებლებისა, რომლებიც ვერ მოხვდნენ ჩატარებული კონკურსის შედეგად 20-კაციან ჯგუფში (ამ 20 კაცს დაევალა სომხურენოვანი სახელმწიფო მოხელეებისთვის ქართული ენის შესწავლა). ვინ არიან ეს ნაწყენი მასწავლებლები? ალბათ, "ქართული ენის ნამდვილი სპეციალისტები", კვლავ ბატონ კახას რომ დავესესხოთ - **"ქართული ენის ფილოლოგები"**...

ხუმრობა იქით იყოს და, ბატონ კახას სრული პასუხისმგებლობით ვუცხადებთ: იმ სომხებს შორის, რომლებიც ჯგუფში შეირჩნენ, რასაკვირველია, ყველა ვერ ეთამაშებოდა ვარსკვლავებს, მაგრამ რამდენიმემ გაგვაოცა ჯანსაღი, პროქართული პოზიციით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებითა და, რაც მთავარია, ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნით. საწყენია, როცა ვითომდა მანანა გიგინეიშვილის მიერ წარმოთქმულ ფრაზას, ლამის პოლიტიკურ შეფერილობას ვაძლევთ: "ნუ გეწყინებათ, თუ კონკურსში ქართული ენის არასპეციალისტებმაც გაიმარჯვესო" (სინამდვილეში ასეთი რამ ქალბატონ მანანას არ უთქვამს და როგორ მოახერხა სტატიის ავტორმა არარსებული ნათქვამის ციტირება, მართლაც გაუგებარია...).

გასაოცარია ბატონი კახას რიტორიკული შეკითხვა, რომელიც რამდენჯერმე მეორდება სტატიაში: "შემსწავლელ ჯგუფებში ისევ ის კონტიგენტი დარჩა, რომლებმაც 10 წელი ვერაფერი ვერ ისწავლეს (დაცულია სტატიის ავტორის სტილი და მართლწერა - კ. გ., ნ. შ.)". ერთი კითხვა გვსურს დავუსვათ ბატონ კახას: კი მაგრამ, აბა საიდან მოვიყვანოთ ახალი კონტი(ნ)გენტი? ქართულს სწავლობენ (რაც მართალია, მართალია - წლების განმავლობაში ვერ ვასწავლეთ!) საჯარო მოსამსახურეები, რომელთაც სჭირდებათ (ყოველ შემთხვევაში, უნდა სჭირდებოდეთ) სახელმწიფო ენის ცოდნა; რა, უარი ვუთხრათ იმ მიზეზით, რომ "10 წელი ვერაფერი ისწავლეს"? რა ლოგიკაა ეს? ან რომელ ლოგიკას ექვემდებარება სტატიის პათეტიკურ დასაწყისში IX საუკუნის ჯავახეთის მოსაზღვრე ტაოკლარჯეთში ემიგრირებული სომხების თემის წამოწევა და წერილის ბოლოს კი ამავე სომხებზე იმის თქმა, 1830 წელს პასკევიჩმა ჩამოგვისახლაო...

ერთი რამ უნდა იცოდეს ბატონმა კახა მაისურაძემ: ჯავახეთში მცხოვრები სომხები ქართველებს გვადანაშაულებენ იმაში, რომ ჩვენმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მათთვის ქართული ენის სწავლება (თქვენი წერილის პათოსიც ამ ბრალდების ნათელი დადასტურებაა); ამბობენ, არ გვაქვსო ქართული ენის სახელმძღვანელოები, თვითმასწავლებლები და ა. შ. ეს კი სრული სიმართლეა! მართლაც არ არსებობდა ქართული ენის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი სახელმძღვანელო, რომლითაც მასწავლებელი ისარგებლებდა... დღემდე (ეს, ალბათ, თქვენც კარგად იცით!) კონკრეტული მასწავლებლის მარიფათსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული, რას გამოიყენებდა და როგორ ასწავლიდა მოსწავლეებს (ზრდასრული ასაკის მოსახლეობაზეა საუბარი) სახელმწიფო ენას... სკოლაში? სკოლაშიც რომ ამ მხრივ სრული ქაოსი და განუკითხაობაა, ესეც ეუთოს, შალვა ტაბატაძეს, მანანა გიგინეიშვილს და ლევან ღვინჯილიას დავაბრალოთ?

ისევ და ისევ ჩვენი უთაურობაა ყველაფრის თავი და თავი! იმის მაგივრად, რომ ეუთოს მისიის მიერ ჩვენი ინტერესების თანხვედრას მივესალმოთ, შიდა ინტრიგებს ვაღვივებთ, მასწავლებელთა ერთ ჯგუფს მეორეს ვუპირისპირებთ, სომხებს, რომლებიც ქართულის სხვა სომხებისთვის სწავლებას აპირებენ, შეურაცხყოფას ვაყენებთ!

მართალია, ბატონი კახა მაისურაძე შალვა ტაბატაძისთვის ქრთამის მიცემაზე თავს არ დებს (გავრცელებულ ხმებს ეყრდნობა), მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ეს ფაქტი სულაც არ არის დაუჯერებელი. შევახსენებთ პატივცემულ ჟურნალისტს იმ ჯგუფის წევრებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებლების შერჩევაში: ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი, ქალბატონი რუსუდან ჭუბაბრია, ბატონები - ზურაბ ბაღაშვილი და დავით მეტრეველი... შალვა ტაბატაძე საერთოდ არ ყოფილა კომისიაში! ერთი წუთითაც რომ დავუშვათ, ბატონმა შალვამ 100-100 დოლარი აიღო თითოეული მასწავლებლისგან, როგორ ფიქრობთ, კომისიის წევრებსაც გაუნაწილა? დარწმუნებულები ვართ, სტატიის ავტორი დასახელებულ პირთაგან არც ერთს არ იცნობს - თავის თავზე კი აიღო ესოდენ მძიმე (თუნდაც შეფარვით) ბრალდება... ამ თემაზე მეტს აღარ გავაგრძელებთ, იმდენად ამაზრზენია თუნდაც ჭორის დონეზე საუბარი... საქმე ის გახლავთ, რომ სტატიაში წარმოდგენილი გასაუბრების აღწერა ან მაისურაძის ფანტაზიის ნაყოფია, ანდა ის ვიღაცას (ქართული ენის ფილოლოგს) მწარედ მოუტყუებია: ამ გასაუბრებაზე ქართველი მწერლების ბიოგრაფიებზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა! ასე რომ, ვერც "მავანნი" მოახერხებდნენ "შპარგალკების" შეგდებას სასურველი კანდიდატებისთვის...

ჟურნალისტი რამდენჯერმე იმეორებს, რომ 100 ათასობით დოლარი "უკვალოდ გაქრა"; რომ "...ეუთოს მისია, უზრუნველი დაფინანსების მიუხედავად, თავისი მოღვაწეობით ნინოწმინდა-ახალქალაქში ქართული ენის შესწავლის საქმეს იოტისოდენადაც ვერ წევს წინ. პირიქით..."

პირიქითო!..

კი მაგრამ, თქვენ ის მაინც თუ იცით, ბატონო კახა, რომ პროექტი ერთწლიანია, ჯერ კი სულ რაღაც ორი თვეა გასული? ის მაინც თუ იცით, სწორედ ეუთოს მისიის დაფინანსებით რომ იქმნება ქართული ენის სახელმძღვანელო (3 წიგნი), რომელიც მეორე ენის სწავლების უახლეს მეთოდიკას ემყარება და ძირეულად განსხვავდება აქამდე არსებული ყველა სახელმძღვანელოსგან? იცით, რომ ეს წიგნები (თითოეული, თითქმის, 300 გვერდის მოცულობით), სავარჯიშოების რვეულითა და ორი აუდიოკასეტითურთ, უფასოდ დაურიგდათ ქართული ენის შესწავლის მსურველებს? თუ იცით და არ ამბობთ - მაშასადამე, კარგის დანახვა საერთოდ არ გსურთ; თუ არ იცით და ამ თემაზე ასეთ პრეტენზიულ სტატიას აქვეყნებთ, მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია...

**P.S.** კიდევ ერთხელ გვსურს, განვაცხადოთ, რომ კონკრეტულად ბატონ კახა მაისურაძეს, ახალგაზრდა ჟურნალისტს, არას ვერჩით; სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიეთ, იგი აღმოჩნდა გამხმოვანებელი პოზიციისა, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი შეუძლია მოუტანოს საქართველოს სახელმწიფოებრიობას. წერილის ავტორებს ყველაზე კარგად მოეხსენებათ ის ხარვეზები თუ შეცდომები, რაც ყოველთვის თან სდევს მძიმე საქმის კეთებას... მაგრამ ნუ გადავაყოლებთ ბავშვს ნაბან წყალს, კარგიც დავინახოთ და ცუდიც, ცალმხრივად და ტენდენციურად ნუ მივუდგებით საერთო ტკივილს - იმ ტკივილს, რომელიც ბატონ კახასაც (თუკი ვირწმუნებთ მის გულწრფელობას) და ყველა ჭეშმარიტ ქართველს გულს სტკენს.

ფეხბურთი

# უეფას დევიზი: "ნაკლები უფრო მეტია..."

დიმიტრი ობოლაძე

*მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო საფეხბურთო ტურნირი, უეფას ჩემპიონთა ლიგა 18 თებერვალს განახლდება. უკანასკნელი წლების მანძილზე ლიგის დირექტორთა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს ქართველი სპეციალისტი, დღეს საფეხბურთო კლუბის, თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი. იგი გუშინ დაბრუნდა შვეიცარიიდან, სადაც ნიონში მდებარე უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის დირექტორთა შეხვედრა.*


დავით პეტრიაშვილი

- ეს ტრადიციული შეხვედრაა, რომელიც ყოველი ახლი წლის დაწყების წინ იმართება. შეხვედრას უეფას გენერალური მდივანი, ბატონი გერჰარდ აიგნერი და საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი, იაკობ ერელი ხემძღვანელობდნენ. აიგნერის თქმით, უეფა მთლიანობაში კმაყოფილია ტურნირის მსვლელობით და დირექტორთა მუშაობით. მან ისაუბრა უმნიშვნელო, შიდა პრობლემების შესახებ, რომელიც მკითხველს ნაკლებად აინტერესებს. თითოეულმა ჩვენგანმა გამოთქვა აზრი ახალი ფორმატის შესახებ. მოგეხსენებათ მომავალი სეზონიდან აღარ იარსებებს მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ეტაპის შემდეგ პირდაპირ მერვედფინალები დაიწყება, რაც ფეხბურთისთვის და კერძოდ ჩემპიონთა ლიგისთვის ნამდვილად კარგია. საგრძნობლად შემცირდება ნაკლებად მნიშვნელოვანი მატჩების რიცხვი და სტადიონების ტრიბუნები ნებისმიერი მატჩის დროს შეივსება.

**- ახალი ფორმატის მიხედვით აშკარაა, რომ მცირდება თამაშების რაოდენობა. უეფა კი არ არის ის ორგანიზაცია, რომელიც შემოსვალს დაიკლებს. მცირდება თუ არა უეფას შემოსავალი?**

- ასეთი შინაარსის შეკითხვა შეხვედრაზეც წარმოიშვა. უეფა იდეალურად წარმართავს სამარკეტინგო საქმიანობას. ასე, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ იქმნება. ორი სეზონის წინ ჩემპიონთა ლიგას რვა მთავარი სპონსორი ჰყავდა, ისეთი რომელთა სარეკლამო ფარებით სტადიონები იფარებოდა. დღეს, ეგრეთ წოდებულ "მთავარ სპონსორთა" რიცხვი ოთხამდე შემცირდა. სამაგიეროდ გაიზარდა მათი ექსკლუზიური უფლებები. უეფას დევიზია "LESS is MORE" - რაც ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს "ნაკლები უფრო მეტია". თითქოს აბსურდია, მაგრამ მერწმუნეთ, უეფას ამის გაკეთება შეუძლია.

**- თქვენ მიმდინარე, 2002-03 წლის სეზონში მოსკოვის "ლოკომოტივს" კურირებთ. ყველასთვის ნათელია, თუ როგორი ზამთარია რუსეთში და რა მძიმე დღეები ელით რკინიგზელების მეტოქეებს. იყო, თუ არა საუბარი თებერვალში გასამართი შეხვედრების თაობაზე?**

- მართალი გითხრათ, უეფას ეს პრობლემა მივიწყებული არა, მაგრამ ოდნავ უყურადღებოდ ჰქონდა დატოვებული. რუსეთის გუნდები დიდი ხანია მეორე ეტაპზე არ გასულან ანუ თებერვალში მოსკოვში თამაში არ გამართულა. "ლოკომოტივის" გასვლას არც წელს ელოდნენ, თუმცა შედეგი სახეზეა. სახეზეა პრობლემაც. 25 თებერვალს რუსეთის ჩემპიონი საკუთარ მოედანზე იტალიის "მილანს" მასპინძლობს. არსებობს ტემპერატურის გარკვეული ზღვარი, რომლის შემდეგაც თამაში რეკომენდირებული არ არის. ეს ზღვარი ჩვენთვის უჩვეულო, რუსებისთვის კი სავსებით ჩვეულებრივ ციფრში გამოიხატება. -15 გრადუსი. უეფამ განსაკუთრებით იმსჯელა ამ საკითხზე და მე მივლინებაშიც მომიწია წასვლა. ვესტუმრე ნოვოროსიისკს, სადაც არსებობს სტადიონი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს და განიხილება მოსკოვის ალტერნატიულ ვარიანტად. პირდაპირ მინდა მოგახსენოთ, რომ თბილისში ან რომელიმე სხვა ქვეყნის ქალაქში მატჩის გამართვა გამორიცხულია. ქართულ პრესაში გამოქვეყნდა არასწორი ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს შეხვედრა შეიძლება თბილისში გაიმართოს. ეს აბსურდია. უეფას რეგლამენტით - ამა თუ იმ ქვეყნის გუნდი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრას სხვა ქვეყანაში ვერ ჩაატარებს. ბევრი ჰაიფას "მაკაბის" მაგალითზე საუბრობს. ჰაიფას გუნდმა თავიდანვე კვიპროსზე დაიწყო - ასეთი რამ კი დასაშვებია. კიდევ ერთი მიზეზი - როგორ გგონიათ, თავად რუსებს ექნებოდათ თბილსში "მილანის" მასპინძლობის სურვილი? ალბათ, არა, ვინაიდან "მილანში" კახა კალაძე თამაშობს. რაც შეეხება ნოვოროსიისკის კანდიდატურას. მე პირადად შევხვდი ქალაქის მერს, რომელიც ძალიან მონდომებულია. მიუხედავად იმისა, რომ ნოვოროსიისკი "გმირი ქალაქია" სტადიონის მოსამზადებლად გმირობა ნამდვილად არ არის საჭირო. აქ უეფას თასის გათამაშებაში შარშან "ვალენსიამ" ითამაშა და დღესაც ამაზე საუბრობენ. ნოვოროსიისკში არსებობს პირდაპირი სატელევიზიო რეპორტაჟის წარმოების პრობლემაც. საჭიროა მინიმუმ 13 კამერა. თუმცა, მერია ამ პრობლემის გადაჭრასაც გვპირდება. ასე, რომ გამორიცხული არაფერია. მთავარია მოსკოვში 25 თებერვალს ტემპერატურა -15-ამდე არ დაეცეს.

**- თქვენ რამდენიმე წელიწადია "შიგნიდან" ეცნობით ჩემპიონთა ლიგას. აქვს თუ არა უახლოეს პერიოდში საქართველოს რომელიმე საფეხბურთო კლუბს, ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში მოხვედრის შანსი?**

- ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი გუნდსეროვნული ჩემპიონატის მოგების შემდეგ ეძლევა. მე "დინამოს" წარმომადგენელი ვარ და სწორედ ამ გუნდზე ვისაუბრებ. ჩვენი უახლოესი ამოცანა საქართველოს ჩემპიონატის მოგებაა. ჩემპიონთა ლიგაზე უკვე შემდგომში ვიფიქრებთ. რა თქმა უნდა, ამისთვის გუნდის გაძლიერებაა საჭირო, მაგრამ სატრანსფერო პოლიტიკაზე და სიტუაციაზე საუბრისგან დღეს თავს შევიკავებ. პრესაში უამრავი გადაუმოწმებელი, პროვოკაციული ინფორმაცია იბეჭდება. რაც შეეხება "დინამოს", გუნდი 28 იანვარს დაბრუნდება თბილისში და სამ დღეში კვლავ საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრება. ამჯერად ივო შუშაკის სამშობლოში.

ჭადრაკი

# ანანდი გამარჯვებასთან ახლოს არის

**ჰოლანდია. ვეიკ-ან-ზეე. საჭადრაკო სუპერტურნირი. მე-11 ტური:**

*რაჯაბოვი - შიროვი 0,5:0,5, ტოპალოვი - კრასენკოვი 1:0, ვან ველი - კრამნიკი 1:0, ანანდი - გრიშჩუკი 0,5:0,5, ტიმანი - პონომარიოვი 0:1, პოლგარი - ბარეევი 0,5:0,5, კარპოვი - ივანჩუკი 0,5:0,5.*

მე-11 ტური ლიდერთა სწრაფი ყაიმებით დაიწყო. პრაქტიკულად, ანანდი - გრიშჩუკისა და პოლგარი - ბარეევის შეხვედრაში ბრძოლა არ ყოფილა. ორივე წყვილმა დიდოსტატური ყაიმები დააფიქსირეს. ანანდი კი სულაც მე-13 სვლაზე დაუზავდა გრიშჩუკს. სპეციალისტთა ვარაუდით, როგორც ჩანს, პოლგარიცა და ანანდიც თავიანთი გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადებიან (ან შეიძლება სწრაფი ყაიმისთვის), რომელიც მომდევნო ტურში გაიმართება.

ანატოლი კარპოვმა ვასილი ივანჩუკის წინააღმდეგ ძალიან უნარიანად გამოიყენა გრიუნფელდის დაცვა. ხარისხიც მოიგო, მაგრამ ამ უპირატესობის სათანადოდ გამოყენება უკვე ველარ მოახერხა. კიდევ ერთი ყაიმი შიროვისა და რაჯაბოვის, უსაშველოდ გაწელილ მატჩში დაფიქსირდა, სადაც შიროვს ყაიმის მისაღწევად მთელი თავისი საენდშპილო ხელოვნების გამოვლენა დასჭირდა.

ტიმანი მეტისმეტად გადაიღალა და მორიგი უხეში შეცდომა დაუშვა. უფრო სწორად პონომარიოვს მორიგი საჩუქარი მიუძღვნა. შემდეგ კი დანებდა. ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა, კიდევ ერთხელ გამოავლინა წინაღობათა დაძლევის უნარი და კრასენკოვი პირწმინდად გაანადგურა. ტურის მთავარი სენსაცია კი ჭადრაკის მოყვარულებს ჰოლანდიის ჩემპიონმა ლუკ ვან ველიმ შესთავაზა. მან თეთრი ფიგურებით თვით ვლადიმირ კრამნიკი დაამარცხა. დასაწყისში ასეთ შედეგს არაფერი მოასწავებდა. თუმცა, კრამნიკმა შემდგომში თამაშის სადავეები დაკარგა. უამრავი დრო დაკარგა არაფრის მთქმელი სვლებისთვის, მაშინ, როცა მისი მეტოქე მეთოდურად ამზადებდა შეტევას მეფის ფრთაზე. შედეგად ვან ველის გეგმა სრული ტრიუმფით განხორციელდა. ბოლო აკორდი კი მან, უკვე საპირისპირო, დედოფლის ფრთაზე, პაიკების ელეგანტური გარღვევით დაასრულა.

ამ გამარჯვებით ტურნირის მასპინძელი სუფთა მესამე საფეხურზე დამკვიდრდა. პირველობა კი 7,5 ქულით ინდოელმა ანანდმა შეინარჩუნა. მას ნახევარი ქულით უნგრელი იუდით პოლგარი ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ მე-12 ტურში ერთმანეთს სწორედ ლიდერები ხვდებიან.

კალენდარი

## 26 იანვარი



უეინ გრეცკი

**1943 - დაიბადა ბერნარ ტაპი. ფრანგი მეწარმე. მარსელის "ოლიმპიკის" პრეზიდენტი, რომელთანაც იყო დაკავშირებული ყველაზე დიდი სკანდალი ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში.**

**1950 - დაიბადა ივან ჰლინკა. ჩეხი ჰოკეისტი, მწვრთნელი. მოთამაშის რანგში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. მწვრთნელობის პერიოდში ჩეხეთის ნაკრებს ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი, ერთხელ კი 1998 წელს ოლიმპიური თამაშები მოაგებინა.**

**1961 - დაიბადა უეინ გრეცკი. კანადელი ჰოკეისტი. ჰოკეის ნაციონალური ლიგის (NHL) ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე.**

**1977 - დაიბადა ვინს კარტერი. ამერიკელი კალათბურთელი, რომელსაც ჯორდანის მემკვიდრედაც კი მიიჩნევენ.**

**2000 - გარდაიცვალა დონ ბაჯი. ამერიკელი ჩოგბურთელი. ჩოგბურთის ისტორიაში "დიდი სლემის" პირველი მომგები (1938).**

ჩოგბურთი

# აქეთ გორას წიხლსა ვკრავ...

*მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი - "დიდი სლემის" ტურნირი. საპრიზო ფონდი 12 004 900 დოლარი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟებში - ტომას იუჰანსონი (შვედეთი), ქალებში - ჯენიფერ კაპრიატი (აშშ). ფინალი.*

**ქალები**

სერენა უილიამსი (აშშ, 1) - ვინუს უილიამსი (აშშ, 2) 7:6 (7:3), 3:6, 6:4

**წყვილთა თანრიგი. ფინალი**

**ვაჟები**

მიქაელ ლოდრა/ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - მარკ ნოულესი/დანიელ ნესტორი (ბაჰამები/კანადა) 6:4, 3:6, 6:3

...ქართული მულტფილმის არ იყოს "აქეთ გორას წიხლსა ვკრავ, იქით გორას რას ვუზამ"... სწორედ სერენა უილიამსს შეუძლია თქვას. ამ შავკანიანმა ქალბატონმა ყველაფერი მოიგო, რაც დიდ ჩოგბურთელს შეუძლია ინატროს. სერენას ანგარიშზე "დიდი სლემის" ოთხივე ტურნირია. როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ სერენა უილიამსს თანამედროვე ჩოგბურთში ბადალი არ ჰყავს.

დები უილიამსების მეოთხე ოჯახური ფინალი კვლავ უმცროსს დარჩა. სერენამ თავის დას ზედიზედ მეოთხე ფინალი მოუგო და თანამედროვე ჩოგბურთის აბსოლუტური ლიდერი გახდა. ჩოგბურთის ისტორიაში არ არსებობს იმის ბევრი მაგალითი, რომ ჩოგბურთელი წყვილთა თანრიგშიც ისეთივე წარმატებული ყოფილიყო, როგორც ერთეულებში. უილიამსებმა ეს მოახერხეს. დებს წყვილებში უკვე 16 თვეა, რაც არ წაუგიათ. შარშანდელ სეზონში სერენამ აშშ-ისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატები და უიმბლდონი მოიგო. წელს კი ამ მიღწევას ავსტრალიაც დაუმატა და როგორც ჩოგბურთის სპეციალისტები ამბობენ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.


REUTERS
სერენა უილიამსმა ყველაფერი მოიგო

საქმე ის არის, რომ სერენასგან ავსტრალიაში გამარჯვებას მაინც არ მოელოდნენ. ჯერ ერთი ვინუსი უფრო უკეთ თამაშობდა და მეორეს მხრივ საფუძველშივე ირღვეოდა უილიამშების ოჯახური ტრადიცია, რომელიც დებზე ტიტულების თანაბრად გაყოფას ითვალისწინებს. ამიტომ სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ მთავარ კვარცხლბეკზე, ამჯერად უფროსი და ავიდოდა. თუმცა, მოხდა ისე, რომ ავსტრალიაც სერენას დარჩა. პრინციპში დების მორიგი ფინალი დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებით მისი პირველი სეტი, რომელიც ტაი-ბრეიკზე სერენამ მოიგო. მეორე სეტში ტურნირის ტრიუმფატორმა, შეიძლება ითქვას, დაისვენა. როგორც კი თავისი პირველი მოწოდება წააგო, სერენას უფროსი დისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. მესამე, გადამწყვეტი სეტი კი შეუდარებლად ჩაატარა.

სერენა უილიამსის დარად შეუდარებელი იყო წყვილთა თანრიგის ფრანგული დუეტი - ლოდრა სანტორო, რომელმაც ფინალში შანსი არ დაუტოვა მარკ ნოულესისა და დანიელ ნესტორის ტანდემს.

# ძმრად ამოდენილი კურნიკოვა

გიგა გურასაშვილი

*ცნობილი რუსი ჩოგბურთელის ანა კურნიკოვასა და ასევე არანაკლებ პოპულარული ჰოკეისტის "ნიუ იორკ რეინჯერსის" თავდამსხმელ პაველ ბურეს შორის სასიყვარულო კავშირი ყოველთვის დაინტერესების საგანს წარმოადგენდა საინფორმაციო სააგენტოებისთვის. ერთი ხანობა მათდამი ინტერესი თითქოს მინავლდა, მაგრამ ადრეულმა კავშირმა ახლაც იჩინა თავი. პაველ ბურემ, რომელიც გაზეთ "ეკზაილს" კურნიკოვასთან ურთიერთობის ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებისთვის სასამართლოში უჩივლა, ამ უკანასკნელთ 10 ათასდოლარიანი სარჩელი მოუგო.*

ანა კურნიკოვა, რომელსაც ფაქტობრივად, სპორტული კარიერის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არასდროს მიუღწევია და მისთვის შემოსავლის ძირითად წყაროს სარეკლამო თუ სამოდელო საქმიანობა წარმოადგენს, ფაქტია, რომ საჭირო ადგილებზე ერთობ გამოყვანილი, მიმზიდველი სხეულის წყალობით მის მიმართ გულგრილი არავინაა. ყოველივეს წყალობით, ბუნებრივია, მისით უამრავი ჟურნალ-გაზეთიცაა დაინტერესებული. ერთნი ხელის მოთბობისა და პოპულარობისთვის უკან არაფერზე იხევენ და ზღაპრებსაც თხზავენ.


პაველ ბურე



ანა კურნიკოვა

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 2001 წლის მაისში ზემოთ ხსენებულმა გამოცემამ, რომელიც მოსკოვის კლუბებში უფასოდ ვრცელდება, გამოაქვეყნა მასალა, სადაც თითქოს ბურე პირდაპირ საუბრობდა კურნიკოვასთან ურთიერთობებზე: "ყელში ამომივიდა კურნიკოვასთან სექსი, რადგანაც მას ორი ვაგინა აქვს (ტექსტი შელამაზებულია, მიხვდებით რატომაც).

ბურეს ამ სიტყვებს ერთი აჟიოტაჟი მოჰყვა. ჰოკეისტსაც შესაბამისი რეაქცია ჰქონდა.

"გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ ჩირქი მოსცხო არა მარტო ჩემს რეპუტაციას, არამედ გოგოს ღირსებასაც. მოვალეობად მიმაჩნია გოგოს ღირსება დავიცვა", - განაცხადა რუსმა "რაკეტამ".

ბურე, რომელიც წესისამებრ ამგვარ ინფორმაციებს ირონიულად უყურებს, ამჯერად გადაწყვიტა, სასამართლოს მეშვეობით ბრალდების უარყოფასთან ერთად მორალური ზარალისთვის კომპენსაციად 2 მილიონი რუბლიც მოეთხოვა. თუმცა, ცილისმწამებელთა დასჯა, არცთუ ისე იოლი აღმოჩნდა. საქმე ერთ წელიწადს გაჯანჯლდა. 2002 წლის 23 მაისს მოსკოვის "ბასმანის" სასამართლომ როგორც იქნა, განაჩენიც გამოიტანა.

სასამართლომ მოპასუხე მხარეს დაავალა ბურე-კურნიკოვას საქმესთან დაკავშირებით ცილისმწამებლური ინფორმაციისთვის ბოდიში გაზეთის მეშვეობით მოეხადა და, ამასთან დაზარალებული მხარისთვის 500 ათასი რუბლიც გადაეხადათ. მაგრამ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმაც ცხადჰყო, რომ საქმე კიდევ გაიწელებოდა.

საქმე ისაა, რომ "ეკზაილმა" ერთი ცუღლუტობა ჩაიდინა. როდესაც გაზეთის გამომცემლები მიხვდნენ, რომ საქმე სერიოზულ სახეს ღებულობდა, ამ უკანასკნელებმა გაზეთის ბუღალტრული უწყისი ისე შეადგინეს, რომ "ეკზაილის" მთელი ქონება 40 ათას რუბლზე იაფი აღმოჩნდა. განაჩენის გამოტანიდან რამდენიმე დღეში გაზეთის ოფისში მისული სასამართლოს წარმომადგენელი ბანკროტის ოფიციალური პროცედურის წამოწყებითაც დაიმუქრა. რამდენიმე საათიანი მოლაპარაკების შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, დაზარალებულისთვის 10 ათასი დოლარი (318 ათასი რუბლი) გადაეხადათ და 5 თებერვლისთვის გაზეთით ბოდიშიც მოიხადონ.

"პროცესის დასრულებით კმაყოფილი ვარ. ამ შემთხვევაში ფულს, რომლის ქველმოქმედებაში გამოყენებასაც ვაპირებ, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, რომ მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა", - შედეგით კმაყოფილია ბურე.

რაც შეეხება თავად ჰოკეისტს, სასამართლოს მოგების შემდეგ იგი დეკემბერში მარცხენა მუხლზე მიღებული ტრავმის მოშუშების შემდეგ ვარჯიშის განახლებას, იანვრის ბოლოსთვის გეგმავს.

ისტორიული ფოტო

## ეს იყო 34 წლის წინათ...



1969 წლის 27 სექტემბერი, მიუნხენი. "ჰამბურგის" ფეხბურთელი უვე ზეელერი მიუნხენის "ბაიერნთან" მატჩის წინ ხურდება.

სინემა

კინოთეატრი "ამირანი"

## „ბეჭდების მბრძანებელი - 2„ "ორი ციხესიმაგრე"

(აშშ. 2002 წელი)



კადრი კინოფილმიდან

Lord of the rings - Two towers

რეჟისორი: **პიტერ ჯექსონი**

მთავარ როლებში: **ელაიჯა ვუდი, იენ მაკკელენი, ლივ ტაილერი, ვიგო მორტენსენი, კეიტ ბლანშეტი, ორლანდო ბლუმი, კრისტოფერ ლი**

კინოსურათის "ბეჭდების მბრძანებლის" მეორე ნაწილმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართული პრემიერების შემდეგ, როგორც იქნა თბილისამდეც ჩამოაღწია. კინოეპოპეის ეს სერია პირველი ფილმის პირდაპირი გაგრძელებაა და ამიტომ ის მაყურებელი, რომელიც ტოლკიენის შემოქმედებას კარგად არ იცნობს, ან კიდევ ფილმ "ბეჭდების მბრძანებლის" პირველი ნაწილი არ უნახავს, ამ ახალ სურათს თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ფილმი იმდენადაა დატვირთული მოვლენებით და მოქმედი გმირებით, რომ მართლაც ჭირს იმის გარკვევა, ვინ ვის ეომება, ვინ მტერია და ვინ მოყვარე. სამი-ოთხი სიუჟეტური ხაზი ერთდროულად ვითარდება და ყველა თანაბრად მნიშვნელოვანია. ფილმის შემქმნელებს ველოსიპედის გამოგონება არ დაუწყიათ და თავიდან ბოლომდე ლიტერატურულ პირველწყაროს ეყრდნობიან. კინოეკრანებზე გამოსული ორივე ფილმი, ფაქტობრივად, ტოლკიენის წიგნის ილუსტრაციაა. ერთის მხრივ, ეს ცოტა მოსაბეზრებელია, რადგან თუკი ამავე სახელწოდების ლიტერატურულ ნაწარმოებს კარგად იცნობ, ფილმში მოვლენების განვითარებასაც ადვილად იწინასწარმეტყველებ. მეორეს მხრივ კი, მწერლის მიერ შექმნილი ზღაპრული გმირების კინოეკრანზე ხილვა, მართლაც რომ საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ ფილმ "ბეჭდების მბრძანებელი - 2"-ში ყველა პერსონაჟისთვის მოიძებნა ადგილი და რაც მთავარია, ყველა მათგანს თავისი მკაფიო ფუნქცია და დანიშნულება გააჩნია. რასაკვირველა, ასეთი უზარმაზარი კინოსამყაროს შექმნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, ამ ფილმში იმდენი კომპიუტერული სპეცეფექტია გამოყენებული, ბარემ ხუთ სხვა ფილმს ეყოფოდა.

სამწუხაროდ, თანამედროვე კინოხელოვნებაში ახალი ტენდენცია წამოვიდა, რაც კომპიუტერული ეფექტების უკონტროლო გამოყენებაში გამოიხატება. ამა თუ იმ ფილმის პროდიუსერები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ვირტუალური გამომსახველობითი საშუალება გამოიყენონ (ეს განსაკუთრებით ფილმ-ფანტასტიკებს ეხება). ასე რომ, ზოგჯერ კინოსურათი მულტიპლიკაციურ ფილმს ემსგავსება, სადაც ცოცხალი ადამიანები მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ. საბედნიეროდ "ბეჭდების მბრძანაბელი - 2"-ში, მიუხედავად უამრავი სპეცეფექტისა, მსახიობების თამაში არ დაიკარგა. ფილმის ყველა გმირი თავისებური და გამოკვეთილია.

კიდევ ერთ ფაქტზე მინდა შევაჩერო ყურადღება. თბილისში ამ ფილმის პრემიერაზე კინოსეანსის დამთავრებისას მაყურებელი ფეხზე წამოდგა და ტაშის გრიალითა და სხვადასხვა შეძახილებით გამოხატავდა თავის აღფრთოვანებას. ქართულ კინოთეატრებში მსგავსი რამ ძალიან იშვიათად ხდება. თუმცა, საზოგადოების მსგავსი რეაქცია საკმაოდ ადვილი ასახსნელია. საქართველო ბოლო რვა საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ განიცდიდა მტრის აგრესიას. ჩვენში თავისთავად ჩამოყალიბდა თავისებური "კოდექსი" (რომელიც არსად არაა დაწერილი და ბევრს არ მიუქცევია ყურადღება, ისე ცხოვრობს ამ წესებით), რომელიც გულისხმობს ბრძოლას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მტრისთვის ზურგის შექცევა და გაქცევა საქართველოში ისეთ სირცხვილად ითვლებოდა, რომ მაგას ისევ სიკვდილი სჯობდა. "ბეჭდების მბრძანებელი - 2"-ის გმირებიც მსგავსი კოდექსით მოქმედებენ. შეიძლება მტერი რაოდენობით ასჯერ გჯობდეს და გამარჯვების იოტისოდენა შანსიც არ გქონდეს, მაგრამ მოწინააღმდეგეს მაინც უნდა შეერკინო და იბრძოლო, ვიდრე პირში სული გიდგას. ანუ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ფილმი (ზღაპრული ანტურაჟის მიუხედავად) ძალიან ახლოს დგას საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან და ამიტომაც გამოიწვია მაყურებლის ხმაურიანი რეაქცია.

*არჩილ მელიქიშვილი*

კალენდარი

## 26 იანვარი



ხომ ყველას გვახსოვს "ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი" ? დღეს ერთ-ერთი გმირის დაბადების დღეა.

პოლ ნიუმენმა მსახიობობა ოჰაიოში, საბავშვო თეატრში დაიწყო. სკოლა როცა დაამთავრა და 18 წლისა გახდა, ჯარში წავიდა. მან სამი წელი გაატარა სამხედრო სამსახურში, წყნარ ოკეანეში, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩააბარა თეატრალურ სასწავლებელში. მსახიობის წინსვლა ტელევიზიით დაიწყო: ნიუ იორკში ჩასული სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობდა, შემდეგ ბროდვეიზე მიიწვიეს, კინოში კი ბროდვეიდან მოხვდა. პირველი წარმატება იყო 1956 წელს გადაღებული ფილმი "ჯოჯოხეთი ჩემშია", ამას მოჰყვა "კატა სახურავზე", ხოლო საერთაშორისო აღიარება ალფრედ ჰიჩკოკის "დახეულმა ფარდამ" მოუტანა.

ამჟამად პოლ ნიუმენი ჰოლივუდის ვეტერანია. მისი კარიერა უკვე ოთხ ათწლეულს ითვლის. მთელი ამ დროის განმავლობაში შვიდგზის "ოსკარის" ლაურეატი კინოს სამყაროში დიდი პატივისცემით სარგებლობს. სამსახიობო მოღვაწეობის გარდა, ის რეჟისორული წარმატებებითაცაა ცნობილი, შესანიშნავი ცხენოსანიცაა, მრავალი ჯილდოს მფლობელი, თან პოლიტიკურად აქტიური, სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი და ომის მოწინააღმდეგე.

ჰოლივუდის ვარსკვლავთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ნიუმენის პირადი ცხოვრების შესახებ ბევრს არასოდეს ლაპარაკობდნენ, არც სკანდალური ისტორიებით ყოფილა ცნობილი, მაგრამ ამის გამო ნაკლებად პოპულარული არ გამხდარა - მის მიერ შექმნილი სახეები ყოველთვის აღფრთოვანებას იწვევდა.

**პოლ ნიუმენი** დაიბადა 1925 წლის 26 იანვარს.

## არაპროფესიონალი ფოტოგრაფის საქველმოქმედო აქცია

ვერა ნეფარიძე

ეს გამოფენა-აქცია ორიოდე თვის წინათ "გეპეის" ადმინისტრაციულ კორპუსშიც მოეწყო. ამჯერად კი, არაპროფესიონალმა ფოტოგრაფმა თავის სადებიუტო, საქველმოქმედო აქცია "ქარვასლას" ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში გადაიტანა.

აქცია გუშინ წარმატებულად დაიწყო. გამოფენის გახსნის ზუსტი დროისთვის მისულს დარბაზში რამდენიმე ნამუშევარი უკვე გაყიდული დამხვდა. როგორც მოგვიანებით ავტორისგან შევიტყე (და როგორც მოსალოდნელი იყო), ფოტოების ახალი მეპატრონეები, ჯერჯერობით მხოლოდ ავტორის ნაცნობები არიან, მაგრამ გამოფენის ხანგრძლივობა (დაახლოებით, ათი დღე) ყველა მსურველს საშუალებას მისცემს, საკუთარი წვლილი შეიტანოს მოყვარული ფოტოგრაფის საქველმოქმედო აქციაში.

გამოფენას საკმაოდ ჩვეულებრივი ისტორია აქვს. მისი ავტორი, ლევან პირკულაშვილი შარშან ფოკის მამათა მონასტერში აღმოჩნდა. "შემთხვევითობა, ალბათ, გამორიცხულია, ღმერთის ნება იყო და მოვხვდი იქ. შემოდგომა-ზამთარი მონასტერში გავატარე. ფოტოაპარატიც წაღებული მქონდა, გამოფენა არ მქონია წინასწარ ჩაფიქრებული. იქ ისეთი ლამაზი პეიზაჟებია... განსაკუთრებით მზის ჩასვლა, იმის არდანახვა შეუძლებელია. მეც საშუალება მომეცა, რადგანაც აპარატი თან მქონდა და დავაფიქსირე ეს ყველაფერი", - გამოფენის პრეისტორიას მიამბობს ავტორი. მონასტრის სტუმარს გამოფენის იდეა სურათების გადაღებისას გასჩენია და მაშინვე გადაუწყვეტია: თუკი ოდესმე ამ ფოტოებს გამოფენაზე გაიტანდა, ის გამოფენა აუცილებლად საქველმოქმედო იქნებოდა და შემოსული თანხა ფოკის მამათა მონასტერს გადაერიცხებოდა.



ლევან პირკულაშვილი

ვახო ხაინდრავას ფოტო

ლევან პირკულაშვილმა საგამოფენოდ ორმოცდაათამდე ფოტო დაამზადა. ნამუშევრებზე, ძირითადად, ფოკის პეიზაჟები და მონასტრის შემოგარენია აღბეჭდილი. ავტორმა თითოეულ მათგანს საკმაოდ "საქველმოქმედო ფასი" - ათი ლარი, დაადო.

ავტორმა გამოფენაზე სასულიერო პირებიც მიიწვია, თუმცა გუშინ ისინი დარბაზში ვერ შევნიშნეთ. როგორც ლევან პირკულაშვილმა გვითხრა, ისინი გამოფენით დაინტერესდნენ და აუცილებლად დაათვალიერებენ მას. "დღეს და ხვალ, ალბათ, ვერ მოახერხებენ მოსვლას, რადგანაც შაბთ-კვირას ყველა ეკლესიაში წირვა-ლოცვა მიმდინარეობს", - ამიხსნა მან.

საქველმოქმედო აქციის შემდგომი გააგრძელება ლევან პირკულაშვილს ჯერჯერობით დაგეგმილი არ აქვს. რაც შეეხება მის პირად გეგმებს, მას განზრახული აქვს, რეჟისურაში, კერძოდ, თეატრში მოსინჯოს ძალები.

## სოთბის აუქციონის ახალი რეკორდი

ნიუ იორკში, ძველ მხატვართა ნამუშევრების იანვრის აუქციონზე, აღორძინების ხანის მხატვრის, ანდრეა მანტენიას უნიკალური ტილო 28,568 მილიონ ამერიკულ დოლარად გაიყიდა. ეს თანხა სოთბის აუქციონზე გაყიდული ხელოვნების ნიმუშის სარეკორდო ფასს თითქმის ორჯერ აღემატება.

Descent into Limbo მე-15 საუკუნითაა დათარიღებული. მასზე გამოსახულია ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტე მის მოვლინებამდე გარდაცვლილ მართალთა სულების დასახსნელად ჯოჯოხეთში ეშვება. ეს ტილო მანტენიას უკანასკნელი ნამუშევარია, რომელიც კერძო კოლექციაშია დაცული. სოთბის აუქციონის დირექცია რარიტეტის მყიდველის ვინაობას არ ამხელს.

## მრავალმხრივ ნიჭიერი მეფე

გაზეთი "ნეიშენის" ცნობით, ტაილანდის მეფის მიერ დაწერილი რომანის მიხედვით მალე სათავგადასავლო ანიმაციური ფილმი შეიქმნება. 90-წუთიან ფილმს მეფე ბუმიბულ ადულაიდეჰის "დიდი მამის" მიხედვით გადაიღებენ. ნაწარმოებში აღწერილია ბუდისტი მოძღვრის ამბავი, რომელიც მსხვერპლად ეწირება თავის ერს. პროექტს მთავრობის ახალგაზრდობის ბიურო ახორციელებს. სავარაუდოდ, ანიმაციური სურათი მზად 2006 წლისთვის იქნება, ანუ ზუსტად მაშინ, როდესაც ტაილანდი თავისი მეფის ბატონობის მე-60 იუბილეს აღნიშნავს.

რაც შეეხება თავად ბუმიბულს, ის 75 წლისაა და, გარდა რომანების წერისა, შესანიშნავად უკრავს ჯაზს და საკმაოდ კარგი ფოტოგრაფიც არის

კითხვარი

## ჟურნალისტიკა ხალხური უნდა გახდეს

გიორგი ლობჟანიძე
*მწერალი*

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

**1.** კულტურის აქტივობა, პირველ რიგში კულტურული ტრადიციის უწყვეტობაზეა დამოკიდებული. ერთის მხრივ, კულტურა და ხალხი ერთმანეთს არ უნდა გაემიჯნოს, ყველაზე მთავარი რაც ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, ალბათ ის არის, რომ კულტურა გახდეს მასობრივი - საუკეთესო გაგებით. ვფიქრობ, რომ კულტურის მოღვაწეებს მუდმივად ხალხთან უნდა ჰქონდეთ კონტაქტი, თუნდაც ენის თვალსაზრისით, მაქსიმალურად ახლოს იყვნენ ხალხურ მეტყველებასთან; სწორედ ხალხური მეტყველების დამუშავებით, ახალ ასპექტში გადაყვანითა და ახალ პრიზმაში გარდატეხით, თავად ხალხის ფენებზე იმოქმედონ. ეს არის ჩემი აზრით მთავარი და მნიშვნელოვანი. რაც შეეხება სახელმწიფოს, აქ საჭიროა სწორი კულტურული პოლიტიკა, მხოლოდ ერთჯერადი დახმარებებით და ერთჯერადი აქტებით შედეგს ვერ მივიღებთ. მე მთარგმნელობით საქმიანობას ვეწევი და ამ სფეროში გარკვეული შეხედულებები გამაჩნია, მაგალითისთვის, კულტურული პოლიტიკის შესახებ გეტყვით, რომ თუ ჩვენ გვინდა კულტურის თვალსაზრისით მსოფლიოს სრულფასოვანი ნაწილი გავხდეთ, მთარგმნელობითი საქმის დაფინანსება სახელმწიფოს რანგში უნდა ავიყვანოთ. რადგანაც ერთის მხრივ პრეტენზია გაქვს, იმაზე, რომ ქართველი, მაშასადამე ევროპელი ხარ, მეორეს მხრივ აბსოლუტური გაუცხოებაა ნამდვილ ევროპულ კულტურასთან. იმიტომ, რომ ელემენტარულად საშუალება არ გაქვს შენს ენაზე ევროპელი ავტორების პირველხარისხოვან შრომას ეზიარო. აქედან გამომდინარე, ზოგადად, კულტურის გადარჩენაზე სახელმწიფომაც უნდა იზრუნოს, ოღონდ რა ფორმით, ეს ალბათ ისევ კულტურის მოღვაწეებთან ერთად უნდა მოიფიქრონ. კულტურის აქტივობა ასევე დამოკიდებულია საზოგადოებაზე. თუკი ჩვენ დღევანდელ ჟურნალისტიკას კულტურის ნაწილად მოვიაზრებთ, ბევრი რამ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, მაგალითად, ის, რაც დღეს ქართულ ჟურნალისტიკაში ხდება, თუნდაც ვერბალურ დონეზე. მე შეხება მაქვს სოფელთან და ფაქტის წინაშე ვდგები, რომ ჟურნალისტები ლაპარაკობენ რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანს, მაგრამ ხალხს მათი არ ესმის. მნიშვნელოვანია რომ, კულტურის ისეთი ქმედითი დარგი როგორიცაა ჟურნალისტიკა, უფრო ხალხური უნდა გახდეს. თუკი კულტურის მოღვაწეებსა და საზოგადოებას შორის დიალოგზეა ლაპარაკი, პირველი ნაბიჯი სწორედ ამ სფერომ უნდა გადადგას, ანუ მან უნდა შეარჩიოს შესაბამისი ფორმა, ენა და გამოხატვის საშუალება, იმისათვის რათა ხალხი აიყოლიოს.



გიორგი ლობჟანიძე

ვახო ხაინდრავას ფოტო

**2.** რასაკვირველია, ბევრი რამ იცვლება, ცვლილებები თავად ისტორიულ პროცესებს მოაქვს. თუნდაც ის, რომ დღევანდელი ქართული კულტურა ვერ იქნება 70-ანი წლების კულტურა, რადგანაც შეიცვალა ქართული საზოგადოებრიობის ყოფა და ბუნებრივია, ყოფამ მოითხოვა გამოხატვის ახალი ხერხები და თუნდაც საშუალებები. საზოგადოებასთან საურთიერთობოდ მწერალსა თუ პოეტს თვისობრივად სულ სხვა ენა ესჭიროება. ცვლილებები, რაღა თქმა უნდა იგრძნობა და სასიხარულოა, რომ ყველაფერი ვითარდება, როგორც არ უნდა ვიწუწუნოთ ყოფით სიდუხჭირეზე, დღევანდელი საქართველოს აღმავალ ხაზზე, კულტურა მაინც თავისი გზით მიდის. ძალზედ სასიამოვნოა ის ცვლილებები რაც ამ სფეროში შეინიშნება.

მნიშვნელოვანი კუტურული მოვლენის დასახელება ერთმნიშვნელოვნად გამიჭირდება. ის, რომ დღეს რეგულარულად გამოდის სალიტერატურო პრესა და იბეჭდება ძალიან საინტერესო მასალები, არსებობს იგივე "არილი" და ასე თუ ისე დღემდე გამოდის, "ახალი ეპოქის" ჩანართი "ჩვენი მწერლობა", რომელიც ასახავს კულტურულ პროცესებს, იგივე "24 საათის" ჩანართები, ეს თავისთავად უკვე მოვლენაა, რადგანაც ამდენი რამ კეთდება კულტურის ერთ დარგში, ერთ სფეროში, ეს უკვე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. განყენებულად, კონტექსტიდან ამოღებული მოვლენის დასახელებას, ალბათ აზრი არ ექნება. დღევანდელი კულტურული პროცესები უნუგეშო შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. პირიქით მიმაჩნია, რომ კულტურული პროცესები თვისობრივად ახალ ხარისხშია გადასული.

**3.** სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ნაწარმოებებს მუდმივად ვკითხულობ, რატომღაც ბოლო დროს "ათას ერთი ღამის", კიდევ ერთხელ გადაკითხვის სურვილი მომეძალა. ვკითხულობ აგრეთვე ირანელი მწერალი ქალის გოლი თარაყის ახალ რომანს სპარსულ ენაზე, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა და მინდა, რომ ძალიან მალე ითარგმნოს ქართულად. არაბულად ვკითხულობ გამოკვლევას - იესოს სახე ყურანში. გარდა ამისა ვეცნობი ყველაფერს, რაც ლიტერატურულ პრესაში იბეჭდება. რაც შეეხება გამოფენას; ბოლოს სოსო წერეთლის ალბომის გამოცემაზე ვიყავი, ძალიან მიყვარს მისი შემოქმედება. სპექტაკლები, სამწუხაროდ, ბოლო დროს არ მინახვს, იმის მიუხედავად, რომ თეატრი ძალიან მიყვარს. ვუსმენ არა ქართულ ესტრადას, რადგანაც მიმაჩნია, რომ ქართული ესტრადიდან არანაირი სულიერი მუხტი არ მოდის, სრული სიცარიელეა. შეიძლება ძველმოდური ვარ, მაგრამ ისევ 70-ანი წლების პოპულარული მუსიკა მირჩევნია, რადგანაც ჩემში ამდენი უაზრო ბგერისა და ხმაურის შეშვება წარმოუდგენლად მიმაჩნია. საშინელებაა, როდესაც სცენაზე დგას მომღარალი და ვერ ხვდები საიდან მოხვდა ის ამ გაუგებრობაში, აბსოლუტურად გაუგებარია რას მღერის, ტექსტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხშირად ვუსმენ იშხნელებს და პოპულარულ ფრანგულ სიმღერებს. რაც შეეხება ფილმს, ბოლო დროს ვნახე პედრო ალმოდოვარის "ელაპარაკე მას" და კიდევ ერთხელ ვნახე "მაღალი ქუსლები". ამ ფილმებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს. ვფიქრობ, რომ ალმოდოვარი დღევანდელ კინემატოგრაფში თანამედროვე კაცის ყველა განცდას, ყველაზე უკეთ გამოხატავს.







## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვიქტორ დოლიძე "ქეთო და კოტე"
დას: 17:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"ყვარყვარე თუთაბერი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-6 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
"მეტამორფოზა", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"საშობაო ზღაპარი", რეჟ. ოთარ ბაღათურია
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
11 ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა

**ძველი გალერეა**
"დაჭექი", ლია შველიძის გამოფენა-აქცია

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**
თინა კობიაშვილის სახელოსნოს და მისი ნამუშევრების გამოფენა
ფოტოგამოფენა ფოკის მამათა მონასტრის დასახმარებლად

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7,10 ლარი

**„ელისო„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 18:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.
მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ $15^{00}$ საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.
განცხადებები მიიღება ყოველდღე $9^{30}$ -დან $15^{00}$ -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 20 000. ტელ: 899 901729

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

## ბინები

### ქირა, გირაო

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაგდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ქირავდება საკუთარი ბინის მე-2 სართული მე8 საავადმყოფოსთან. 100$. 61 66 67 ვაჟა

**ქირავდება!**
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71

მოვამზადებ აბიტურიენტებსა და სკოლის მოსწავლეებს ფიზიკასა და მაეთემატიკაში, აგრეთვე დავეხმარები მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში. 32 59 62

ირმა ნიორაძის საბალეტო სტუდია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 5 წლის ასაკიდან. ფალიაშვილის ქ. N34. ტელ: 22-47-29

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. ფასი 25 ლარი. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. ფასი 25 ლარი. 8(93) 24 58 7

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

**გასართობი ცენტრი "არაგვი" სამუშაოდ იწვევს, 25 წლამდე ასაკის, გოგონებსა და ვაჟებს, შემდეგ ვაკანსიებზე:**
1. კრუპიე;
2. მიმტანი (მხოლოდ გოგონები);
3. მზარეული
4. დამლაგებელი
კრუპიებისა და მიმტანებისათვის ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსები.
მოგვმართეთ მისამართზე: სანაპიროს 1. რესტორანი "არაგვი". $17^{00}$-$21^{00}$ -მდე.
**ტელ: 92-04-06, 92-04-08**

## TV პროგრამა 26 იანვარი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ბუნება
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.25 ჩვენი ეზო
21.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „ველური მდინარე" 8 77 45-79-25 მერილ სტრიპი, კევინ ბეიკონი, „ალჩუ თუ თუხანი" 8 77 45-79-26, ფილიპ ნუარე, მიშელ სერო, „განწირულთა მოგზაურობა" 8 77 45-79-27 ფეი დანაუეი, ორსონ უელსი
23.50 მხ.ფ. „ადამიანი ოზოგა" მთ. როლებში ტობი მაგუაიერი, უილიამ დეფო
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „სამანტა"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „დიდი დასვენება"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი „იეთიმ გურჯი"
16.55 საკვირაო გამოფენა
17.10 მულტსერიალი „პრინცესა ნერი"
17.35 „ექიე ქალი"
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „ფრაგმენტები სურათისათვის"
18.50 „ეკოდაიჯესტი"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბოზენ"
21.25 ტელესერიალი „ქალთა სავანე"
22.15 მღერის მანანა თოდაძე
23.45 ტაიმ-აუტი
00.15 მხ. ფილმი „დიანა - გულის მეგობარი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „102 დალმატინელი"
18.00 ქართული მუსათეული
19.00 ინფორმატორი
19.30 ქართული მუსიკა
20.00 ვიდეორადიო
22.00 ინფორმატორი
22.30 კვირის საუკეთესო ხულიგნები
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „ამერიკელი ქალიშვილი"
01.45 ფილმი ღამურა „მამაჩვენი ქილერია"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 მრავალსახეობა
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნე
21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „შანჰაის სიურპრიზი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.30 მხ. ფილმი „მუზა"
10.20 მხ.ფ. „ვარსკვლავური ომები - კლონების შეტევა"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „ბინძური ცეკვები - მხოლოდ ერთი გამოხედვა"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „კლდე"
14.00 მხ. ფილმი „მიზერი"
15.45 მხ. ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება"
18.00 ჯაზ-პარნასი
19.00 ინდ. მხ. ფილმი „როცა მარტო რჩები"
22.00 მხ. ფილმი „ფლიუკი"
00.20 მხ. ფილმი „ბრონქსის ისტორია"

### მეცხრე არხი

10.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი"
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი"
11.10 მხ. ფილმი „დამკვრივებელი"
12.50, 20.50, 21.55, 23.40, 01.30 მუსიკა
13.00 გადაცემა „საუბრები სტუდიაში"
15.00 გადაცემა „ბელისიმო"
15.25 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" 1-ლი სერია
16.15 მხ. ფილმი „ლურჯის ორი ფერი"
18.00 რუს. მხ. ფილმი „ცირკი"
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „კიბე"
21.00 მხ. სერიალი „რაც გინდა აკეთე" მე-2 სერია
22.05 მხ. ფილმი „ისტორია ღამღამობით იქმნება"
00.00 მხ.ფილმი „ამრევი ქალი"

### აჭარა

08.00 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
09.30 „ყველანი ვართ პატარები"
09.40 კომედია „დაარტყი პირველი, ფრედი"
11.10 Слово
12.10 სათავგადასავლო ფილმი „ნაპოლეონი"
13.30 დრამა „დღის მიწურულს"
16.10 მულტფილმი „პრინცესა გედი შშ"
17.20 მხატვრული ფილმი „კლასიკოსი"
19.20 ისტორიული ფილმი „:ანა დარკი"
22.30 Новости в воскресенье
22.50 დოკუმენური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
00.50 სათავგადასავლო ფილმი „ექვსი დღე, შვიდი ღამე"
02.25 კონცერტი
03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
03.30 ისტორიული ფილმი „რუსული ბუნტი"

### VII არხი

18.15 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.30 „ავტოტრეკინგი"
20.20 „კინოკლუბი „ - „მამის თანასწორად"
22.05 მობილურები
22.45 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
23.05 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
23.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
01.20 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.15 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.05 „Властелин вкуса"
13.00 „Кремль 9". „Полк специального назначения"
13.45 „Клуб путешественников"
14.30 Умницы и умники
15.20 Сериал „Погода", 2 с.
16.15 Фильм Ю.Озерова „Операция „Уран"
17.05 Боевик „Маленькие солдаты"
19.00 Времена
20.10 Фигурное катание. Чемпионат Европы. Показательные выступления
21.15 „Кривое зеркало". Евгений Петросян представляет
23.10 Боевик „Зона высадки"
01.10 Комедия „Страна глухих"

### РТР

07.25 Худ.фильм „4:0 в пользу Танечки"
08.50 Сериал „Дракоша и компания"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 Утренняя почта
11.50 „Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм „Неисправимый"
14.10 Парламентский час
15.00, 21.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 Док.сериал „Создать группу „А". „ЧП в Желтой рыбе"
18.05 Комната смеха
19.00 Комедия „Дуракам закон не писан"
20.50 В „Городке"
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ.фильм „Вспомнить все"
00.55 Худ.фильм „Шизофрения"

### НТВ

08.10 Худ.фильм „Полундра!"
08.40 Вкусные истории
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Комедия „Антон Иванович сердится"
10.20 Лотерея „Шар удачи"
10.55 Погода на неделю
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь". О.Газманов
12.40 Вы будете смеяться!
13.05 „Влияние"
14.05 Мелодрама „Леди Гамильтон. Между бесчестьем и любовью"
16.00, 17.00, 18.00, 19.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Откуда берутся дети?" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.05 Ток-шоу „Принцип „Домино"
19.05 Игра „Один за всех"
19.55 Боевик „Последний бойскаут"
22.00 „Намедни"
23.30 Триллер „Кровь и вино"
01.30 Сериал „Клан Сопрано"













Image CENTRE
პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"



## მსოფლიოს პატარძლები



ქალაქ დუბაიში მიმდინარე საერთაშორისო ვაჭრობის ფესტივალის ჩარჩოებში გაიხსნა საერთაშორისო გამოფენა "მსოფლიოს პატარძლები". სავაჭრო ცენტრ "ბურჯუმანში" 20-ზე მეტი ქვეყნის მოდელიორებმა ნაციონალური ტრადიციების გათვალისწინებით შექმნილი საქორწილო კაბები და აქსესუარები წარმოადგინეს.

ეს გამოფენა 31 იანვრამდე გაგრძელდება. ამ დროის განმავლობაში ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთის, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მოდების ჩვენებები გაიმართება.

2-დან 5 თებერვლამდე კი დუბაიში პირველად ჩატარდება მოდების ჩვენება, რომელშიც საფრანგეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთისა და არაბული ქვეყნების მოდელიორები მიიღებენ მონაწილეობას. სასტუმრო "როიალ მირაჟში" ორგანიზებულ მოდების აღლუმზე, მხოლოდ საღამოს და საქორწილო კაბები იქნება ნაჩვენები. ამასთან ერთად ცნობილი საიუველირო ფირმების კოლექციების დემონსტრაციაც მოხდება.

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაზიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად მეწევით პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება იქვე ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით ისწავლიან, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიწვეულ წარმომადგენელს
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI).
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

